პროლეტარიანებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) მენგრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 6 თებერვალი, 1952 წ. № 31 (9191). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

ავამაღლოთ საგამომცემლო საქმის კულტურა — „პრავდის“ 5-II მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

თბილისის საბჭოს მშრომელთა დეპუტატების მესამე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეხუთე სესია (მე-2 გვერდი).

ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის (მე-2 გვერდი).

საწარმოთა შეფობა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებზე (მე-2 გვერდი).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში (მე-2 გვერდი).

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარებაში (მე-3 გვერდი).

დაუსჯელი რატომ დატოვეს მხილებული კომბინატორები (მე-3 გვერდი).

მერი იანქოშვილი — ჩქაროსანი (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ავამაღლოთ საგამომცემლო საქმის კულტურა

საბჭოთა პრესას მაზებში შეაქვს ლენინ-სტალინის დიადი იდეები, იგი ეხმარება პარტიას აღზარდოს მშრომელები კომუნიზმის სულისკვეთებით.

არც ერთ ქვეყანაში არ არის მუშებისათვის, გლეხებისათვის, ინტელიგენციისათვის პრესის ისეთი თავისუფლება, როგორიც საბჭოთა კავშირშია. პრესა, წიგნების გამოცემის საქმე, პოლიგრაფიული მრეწველობა ჩვენში მთლიანად ხალხის განკარგულებაშია, ემსახურება მის ინტერესებს.

„დაუკვირდით სსრ კავშირის ცხოვრების პირობებს, — ამბობდა ამხანაგი სტალინი უცხოელ მუშათა დელეგაციებთან საუბარში 1927 წელს, — შემოიარეთ მუშათა რაიონები და თქვენ გაიგებთ, რომ საუკეთესო სტამბები, ბეჭდვითი სიტყვის საუკეთესო სახლები, ქალაქის მთელი ფაბრიკები, ბეჭდვითი სიტყვისათვის აუცილებელი ხაღებავების მთელი ქარხნები, ვეებერთელა სახასლეები კრებებისათვის, — ყველაფერი ეს და ბევრი სხვა რამ, რაც აუცილებელია მუშათა კლასის ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლებისათვის, სავსებით და მთლიანად მუშათა კლასისა და მშრომელი მასების განკარგულებაშია. სწორედ ამას ეწოდება ჩვენში ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება მუშათა კლასისათვის“.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვის მეოხებით გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოშვებამ ჩვენში უდიდეს მასშტაბს მიაღწია. საბჭოთა კავშირში წიგნი გახდა ხალხის კუთვნილება, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის მასების აღზრდის, მობილიზაციისა და დარაზმვის უძლიერესი საშუალება. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში გამოიცა 1 მილიონ 50 ათასზე მეტი წიგნი და ბროშურა 14 მილიარდ ცალზე მეტი ხაერთო ტირაჟით.

ბოლშევიკური პარტია და საბჭოთა მთავრობა, ახრულებენ რა ამხანაგ სტალინის მიერ დასახულ ამოცანას — გავხადოთ ყველა მუშა და ყველა გლეხი კულტურული და განათლებული, მუდამ ზრუნავენ საგამომცემლო საქმის შემდგომი განვითარებისათვის. ჩვენში განუწყვეტლივ იზრდება წიგნების გამოშვება, მტკიცდება გამომცემლობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მნიშვნელოვნად ფართოვდება და უმჯობესდება პოლიგრაფიული საწარმოები მოსკოვში, ლენინგრადში, კიევსა და ჩვენი ქვეყნის სხვა უდიდეს ცენტრებში. მაგალითად, შარშან დამთავრდა ხარკოვის ფრუნზეს სახელობის წიგნის ფაბრიკის მშენებლობა, დაიწყო დიდი პოლიგრაფიული კომბინატების მშენებლობა კალინინსა და იაროსლავლში. განზრახულია სასკოლო სახელმძღვანელოების კომბინატის მშენებლობა სარატოვში, აგრეთვე ლენინგრადის ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკის, ლენინგრადის ივანე ფედოროვის სახელობის სტამბის, მოსკოვის ვ. მ. მოლოტოვის სახელობის კომბინატისა და „დეტგიზის“ და „მოლოდაია გვარდიას“ გამომცემლობათა პოლიგრაფიული ბაზის გაფართოება და რეკონსტრუქცია.

ჩვენში საგამომცემლო საქმის განვითარების წარმატებანი უდავოა. მაგრამ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ინტერესები, საბჭოთა ადამიანების მზარდი მოთხოვნილებანი გვავალებენ გამომცემლობათა და პოლიგრაფიული მრეწველობის საწარმოთა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. წიგნების გამოშვების გადიდება სოციალისტური კულტურის, მეცნიერების, ტექნიკის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა.

ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოთ პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის ახალი აღმავლობა, განუწყვეტლივ გავადიდოთ წიგნებისა და ბროშურების გამოშვება, გავაუმჯობესოთ მათი ხარისხი, სრულყოთ თვითეული გამოცემის პოლიგრაფიული გაფორმება. ახალი პოლიგრაფიული საწარმოების მშენებლობასთან, ახალი მოწყობილობის ათვისებასთან ერთად საჭიროა მიეაღწიოთ არსებულ საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურ გამოყენებას.

პოლიგრაფიული მრეწველობის მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურეები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავდადებით შრომობენ სამშობლოს საკეთილდღეოდ. ისინი ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას, ზრდიან ყველა სახეობის ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვებას და აუმჯობესებენ მის ხარისხს.

სოციალისტური შეჯიბრება წარმოშობს წარმოების ნოვატორებს, პოლიგრაფიული საქმის ნამდვილ ოსტატებს. ლენინგრადის სტამბა „პეჩატნი დვორის“ სტახანოველმა ამხ. ლატოვალცევმა ერთიორად გაადიდა წიგნებისა და ჟურნალების სახოტაციო მანქანის სისწრაფე, იგი აგრეთვე გამოვიდა ერთი მბეჭდავის მიერ სამი ასეთი მანქანის მომსახურების ინიციატორად. მოსკოვის ა. ა. ჟდანოვის სახელობის პირველ სანიშნო სტამბაში წარმატებით იყენებენ წიგნების ფაბრიკის ბ. ტარიბავ ავტომატურ დაზგას, რომელიც სტახანოველმა ამხ. სემიკინმა გამოიგონა. პოლიგრაფიის ნოვატორი მუშების შრომის მეთოდების, წარმოების ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილების ფართო გავრცელება ბეჭდვითი პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. პოლიგრაფიულ საწარმოთა ხელმძღვანელების მოვალეობა ის არის, რომ უზრუნველყონ მოწინავე გამოცდილების დანერგვა, გადაჭრით აამაღლონ წარმოებისადმი ორგანიზაციულ-ტექნიკური ხელმძღვანელობის დონე, აამაღლონ საწარმოო კულტურა, გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

საბჭოთა პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის განვითარება სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს მრეწველობის მომიჯნავე დარგების, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, ქაღალდისა და ხისგადამამუშავებელი, აგრეთვე ქიმიური მრეწველობის სამინისტროების საწარმოებს. ისინი მოწოდებული არიან უზრუნველყონ პოლიგრაფიული საწარმოები მაღალი წარმადობის უახლესი მანქანებით, სრულყოფილი მოწყობილობით, ხარისხოვანი ქაღალდით, კარგი საღებავებითა და სხვა მასალებით. საჭიროა გულმოდგინე ბრძოლა ჩვენი პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკური პროგრესისათვის.

ყოველი საქმის წარმატებას წყვეტენ ადამიანები, ტექნიკას დაუფლებული კადრები. პოლიგრაფიული მრეწველობის, წიგნის გამოცემის საქმის სწრაფი ზრდა მოითხოვს სტამბებისა და გამომცემლობებისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებისა და გადამზადების გაუმჯობესებას. ამავე დროს შრომითი რეზერვებისა და უმაღლესი განათლების სამინისტროები წლითწლობით ვერ აკმაყოფილებენ პოლიგრაფიულ მრეწველობის მზარდ მოთხოვნილებას მუშების, ინჟინრებისა და ტექნიკოსების კვალიფიციური კადრების მხრივ. სასწავლებლებში კადრების მომზადების სისტემის გაუმჯობესებასთან ერთად უნდა გაფართოვდეს კვალიფიკაციის ახამაღლებელი კურსების, სტახანოვური სკოლების ქსელი, განვითარდეს საწარმოებში საწარმოო სწავლების სხვა ფორმები.

საბჭოთა პოლიგრაფია, ისევე როგორც ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგი, მეცნიერულ საფუძველზე ვითარდება. საჭიროა ყოველი ღონისძიებით განვავითაროთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, წარვმართოთ იგი პოლიგრაფიული წარმოებისა და საგამომცემლო საქმის განვითარების უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადასაწყვეტად.

კარგი წიგნის გამოცემა დიდი ხელოვნებაა. იგი პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა მუშაკებისაგან მოითხოვს დიდ ოსტატობას, საქმისადმი სიყვარულით და პასუხისმგებლობით დამოკიდებულებას. ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში მეტი რაოდენობით იბეჭდება წიგნები კარგ ქაღალდზე, მკვეთრი და მყარი ყდებით, გაუმჯობესდა პოლიგრაფიული გაფორმება. გაფორმების მაღალი ხარისხით გამოირჩევა, მაგალითად, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თხზულებათა გამოცემები, აგრეთვე კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ზოგიერთი გამოცემა.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი გამომცემლობა ზოგჯერ ცუდად გაფორმებულ წიგნებს უშვებს. ისეთ გამომცემლობათა მუშაობა, როგორიც არიან უცხოეთის ლიტერატურის გამომცემლობა, „სოვეტსკი პისატელი“, მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობა, მკითხველთა სერიოზულ კრიტიკულ შენიშვნებს იწვევს. დამაკმაყოფილებლად ვერ არის გაფორმებული მთელ რიგ ადგილობრივ გამომცემლობათა წიგნები.

საგამომცემლო საქმის აღმავლობაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობათა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა მთავარმა სამმართველომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა. მათ ყოველდღიურად უნდა გაუაუმჯობესონ პოლიგრაფიისადმი, საგამომცემლო საქმისა და წიგნის ვაჭრობისადმი ხელმძღვანელობა, ეცადონ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა გამომცემლობა შეთანხმებულად და გეგმაშეწონილად მუშაობდეს, განახორციელონ კონტროლი მთელი ნაბეჭდი პროდუქციის შინაარსისა და გაფორმებისადმი.

გამომცემლობათა და სტამბების საქმიანობა იდეოლოგიური მუშაობის დიდმნიშვნელოვანი უბანია. გამომცემლობანი, სტამბები, წიგნის სავაჭრო ორგანიზაციები თვითეულ რესპუბლიკაში, თვითეულ მხარეში, თვითეულ ოლქშია. ლიტერატურის გამოცემა ჩვენში ხორციელდება სსრ კავშირის ყველა ხალხის ენაზე. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველდღიურად და კონკრეტულად იმუშაონ წიგნებისა და ბროშურების, ჟურნალ-გაზეთების გამოცემის, პროპაგანდისა და გავრცელების საქმეზე, წარმართონ გამომცემლობათა და სტამბების საქმიანობა, გულმოდგინედ იბრძოლონ საგამომცემლო საქმის მაღალი კულტურისათვის.

საბჭოთა ადამიანებს წიგნი უყვართ. კარგად ლაზათიანად გამოცემულ ყოველ წიგნს ჩვენში დიდი კმაყოფილებით ხვდებიან. ეს განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს გამომცემლობათა და სტამბების ყველა მუშაკს, რომლებიც თავიანთი შრომით ხელს უწყობენ მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას.

უფრო ადამაღლოთ გამომცემლობათა და სტამბების მუშაობის დონე! მეტი კარგი წიგნი ხალხისათვის!

„პრავდის“ 5/II მოწინავე

ჩვენს რესპუბლიკაში

★

დაზოგეს 3.325.600 მანეთი

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროებში სერიოზული ყურადღება ექცევა მასალებისა და ელექტროენერგიის მომჭირნეობით ხარჯვას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ლენინის სახელობისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. პირველმა გასულ წელს 328.800 მანეთი დაზოგა, ხოლო მეორემ — 865.900 მანეთი. აღნიშნული მაღაროების კოლექტივები წარმატებით მუშაობენ მიმდინარე წელსაც, დიდ ყურადღებას აქცევენ ყოველ ტონა მარგანეცზე ნაკლები სამაგრი მასალისა და ელექტროენერგიის ხარჯვას.

მომჭირნეობისათვის ენერგიული ბრძოლით აიხსნება ის, რომ შარშან ჭიათურელმა მაღაროელებმა 1.341.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია და 3.325.600 მანეთი დაზოგეს. მნიშვნელოვანი წარმატება არის მოპოვებული პროდუქციის რეალიზაციით დაგროვების საქმეშიც. გასულ წელს მარგანეცის ტრესტმა რეალიზაციით ქვეყანას მისცა 20 მილიონი მანეთი დაგროვება, აქედან 2 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმიური.

ზეგეგმითი პროდუქცია

მცხეთა. (საკ. კორ.). ასანთის ფაბრიკის კოლექტივმა ახალ სამეურნეო წელს საგრძნობლად გაუმჯობესა მუშაობა და თვის გეგმა 26 იანვრისათვის 102 პროცენტით შეასრულა. ამასთანავე გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი და შეამცირა თვითღირებულება.

ამ წარმატების მოპოვებას საგრძნობლად შეუწყო ხელი ლიუბლინოელ ნოვატორთა პატრიოტული თაოსნობის დანერგვამ ფაბრიკაში. თავიანთ საწარმოო ოპერაციებს საუკეთესოდ ასრულებენ ასანთის დამამზადებლები ლ. ღუტიძე, ვ. ირემაშვილი, ი. ბუთხუზი და სხვები.

საბჭოთა საქართველოს 31-ე წლისთავის აღსანიშნავად ფაბრიკის კოლექტივმა გადაწყვიტა ვადამდე შეასრულოს პირველი კვარტალის დავალება და გეგმის გადამეტებით გამოუშვას 70 ათასი მანეთის პროდუქცია.

ზუნგოს ნაყოფი გეგმის გადამეტებით

მახარაძე. (საკ. კორ.). ტუნგოს დამზადების მახარაძის სარაიონთაშორისო კანტორას (მმართველი ამხ. შ. ბოგიბერიძე) 1951-1952 წლების დამზადების სეზონში მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების კოლმეურნეობებში უნდა დაემზადებინა და ტუნგოს ქარხნისათვის ჩაებარებინა 610 ტონა ტუნგოს ნაყოფი. კანტორა ნაყოფის დამზადებას მომზადებული შეხვდა. მიმღები პუნქტები მახარაძეში, ჩოხატაურსა და ნატანებში მოყვანილი იქნა წესრიგში. მახარაძისა და ნატანების მიმღებ პუნქტებში მოეწყო ლაბორატორიები. დამზადებულია 800 ტონა ტუნგო, რაც გეგმის 131,1 პროცენტს უდრის. დამზადება გრძელდება.

კოლმეურნეობათა რგოლებს გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ეძლევათ შრომის დამატებითი ფულადი ანაზღაურება 70 პროცენტის ოდენობით. ამისათვის საჭიროა მოეწყოს ტუნგოს ნაყოფისა და თესლის მოსავლის აღებისა და ჩაბარების აღრიცხვა ბრიგადებისა და რგოლების მიხედვით. მაგრამ ამ წესს მახარაძის რაიონში არ იცავენ, რის გამო ტუნგოს უხვი მოსავლის მიღების საქმეში მოწინავე ბრიგადებისა და რგოლების გამოვლინება არ ხდება, მოწინავე რგოლებს არ ეძლევათ შრომის დამატებითი ანაზღაურება. ამის შედეგად ნაკლებია კოლმეურნეთა დაინტერესება მოსავლიანობის გადიდებით.

ეს მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

გრძელვადიანი სესხი კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს

ყაზბეგი. (საკ. კორ.). ელექტროფიკაციისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობისა და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარებისათვის რაიონის კოლმეურნეობებმა გასულ წელს სახელმწიფოსაგან გრძელვადიანი სესხის სახით 456 ათასი მანეთი მიიღეს.

70 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი მიეცათ ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებელ კოლმეურნეებს.

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავისათვის

ბათუმი. (საკ. კორ.). ქალაქ ბათუმის სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკაში მოწყობილია ნ. ვ. გოგოლის ლიტერატურულ თხზულებათა გამოფენა, რომელსაც მრავალი მნახველი ჰყავს.

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის აღსანიშნავად გამოყოფილი აჭარის რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით მიმდინარე წლის 3 მარტს ბათუმის სახელმწიფო თეატრში გაიმართება დიდი სამხატვრო-ლიტერატურული საღამო. გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ მოხსენებებისა და სიტყვების შემდეგ გოგოლისადმი მიძღვნილ თავიანთ ნაწარმოებებს წაიკითხავენ ბათუმელი მწერლები და პოეტები. საღამოში მონაწილეობას მიიღებენ მსახიობთა საუკეთესო ძალები.

ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების ასი წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოები მოეწყობა აგრეთვე აჭარის რაიონულ ცენტრებში, კულტურის სახლებსა და კლუბებში. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გაიმართება მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

აბაშა. (ჩვენი კორ.). რაიონის სკოლებში, ბიბლიოთეკებსა და საკოლმეურნეო კლუბებში სისტემატურად აწყობენ ნ. ვ. გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილ მოხსენებებს, საუბრებსა და ლიტერატურულ საღამოებს. ბევრგან გახსნილია გოგოლის ნაწარმოებთა გამოფენები.

აბაშის კულტურის სახლში წარმატებით ემზადებიან 3 მარტს ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების ასი წლისთავის აღსანიშნავი დიდი საღამოს გასამართავად.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). სარაიონო ბიბლიოთეკასთან არსებულ ლიტერატურულ წრეში ნ. ვ. გოგოლის გარდაცვალების 100 წლისთავის დღეებისათვის ამზადებენ მოხსენებებს: „გოგოლის ცხოვრების გზა“, „გოგოლი როგორც დრამატურგი“, „გოგოლის პროზა“.

ამავე ბიბლიოთეკაში სისტემატურად იმართება გოგოლის საუკეთესო ნაწარმოებთა ნაწყვეტების ხმამაღალი კითხვა.

ამჟამად ბიბლიოთეკა ემზადება გოგოლის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამოს მოსაწყობად.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკა. ამას წინათ ქალაქ დიონდიოშში მწყობრში ჩადგა სარკინიგზო მოწყობილობის ქარხანა. წარმოებაში გამოცდილი მუშაკები შეფობას უწევენ ახალგაზრდებს. კვალიფიციური მრანდავი ლ. პალკო შეფობას უწევს სახელოსნო სახწავლებლის მოსწავლეთა ჯგუფს. ხუთათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): მრანდავი ლ. პალკო, მოსწავლეები იმრე გალუ და რეუენე პოშვალოვი სიგრძივ-ხარანდავ დაზგასთან.

(საკლესის ფოტოქრონიკა).

★

ალბანეთის მეცნიერებათა ინსტიტუტის სესია, მიძღვნილი ი. ბ. სტალინის ნაშრომისადმი „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“

ტირანა. (საკლესი). 26-დან 29 იანვრამდე ტირანაში მიმდინარეობდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა ინსტიტუტის პირველი სესია, რომელიც მიეძღვნა ი. ბ. სტალინის შრომებს ენათმეცნიერების საკითხებზე და ალბანეთში ენათმეცნიერებას განვითარების ამოცანებს.

მოხსენება „ამხანაგ სტალინის შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე და ალბანეთის ენათმეცნიერების აქტუალური პრობლემები“ გააკეთა მუნირ რეზომ.

ხაზგასმით აღნიშნა რა ენათმეცნიერების საკითხებზე ი. ბ. სტალინის შრომების უდიდესი მნიშვნელობა ალბანური მეცნიერების განვითარებისათვის, მოხსენებელმა თქვა: მეცნიერების დიდი კორიფეს ი. ბ. სტალინის გენიალური მიძღვრების თვალსაზრისით უნდა განვავითაროთ მთელი ჩვენი სამეცნიერო მუშაობა და, კერძოდ, ენათმეცნიერება.

მუნირ რეზომ განსაზღვრა ის ამოცანები, რომლებიც დგას ალბანელი ლინგვისტების წინაშე: ცხადყონ ალბანური ენის სასიცოცხლო ძალა და თავისებურება, განავითაროს და გაამდიდროს სალიტერატურო ენა, შეიმუშაონ პოლიტიკური, მეცნიერული, ტექნიკური და სხვა ტერმინოლოგია, შეამუშაონ მართლწერის ერთიანი ფორმები, განავითაროს ენა პრაქტიკის მოთხოვნებთან დაკავშირებით და სხვ.

დასასრულ მომხსენებელმა აღნიშნა, თუ როგორ ზრუნავენ შრომის პარტია და მთავრობა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის და რა დახმარებას უწევს ამას მოწინავე საბჭოთა მეცნიერება.

მუნირ რეზოს მოხსენების გამო გაიმართა გაცხოველებული კამათი. სესიის დამთავრებისას მეცნიერებათა ინსტიტუტის პრეზიდენტმა კოლ პაპარისტომ აღნიშნა სესიის წარმატებითი მუშაობა და მისი დიდი მნიშვნელობა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკაში მეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.

ბულგარეთის სახალხო მეურნეობის წარმატებანი

ამუშავდა პეტროვის ქარხანა

სოფია, 3 თებერვალი. (საკლესი). დღეს დიმიტროვის ოკოლიაში (მაზრა) მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგა ბალკანეთში პირველი პეტროვის ქარხანა. ახალი მძლავრი სამრეწველო საწარმოს გახსნის გამო გამართულ ზეიმს დაესწრნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მინისტრები, სამამულო ფრონტის, ბულგარეთის სამეწარმოო-მოქმედო სახალხო კავშირისა და სხვა მასობრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ხალხმრავალი მიტინგი გახსნა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვლადიმერ პოპტომოვმა. მოხსენება ქარხნის მშენებლობისა და ბულგარეთის სახალხო მეურნეობისათვის მისი მნიშვნელობის შესახებ გააკეთა დამზადებისა და კვების მრეწველობის მინისტრმა რუზი ხრისტოზოვმა.

ახალი პეტროვის ქარხანა ყოველწლიურად გადაამუშავებს მილიონობით კილოგრამ ნაყოფს და დიდი რაოდენობით გამოუშვებს პეტროვის, ვაშლის მჟავას, ხილის კონცენტრატებს, ხილის სპირტსა და კვების მრეწველობისათვის საჭირო სხვა პროდუქტებს. პეტროვის ქარხნის ექსპლოატაცია ასობით მილიონი ლევით გადიდებს სახალხო შემოსავალს. საზღვარგარეთიდან პეტროვის შემოტანის შეწყვეტის შედეგად საბჭოთა სახელმწიფო დაზოგავს ათობით მილიონ ლევ ვალუტას.

ავამაღლოთ საგამომცემლო საქმის კულტურა

„3. ი. ლენინის გარდაცვალების XXVIII წლისთავის შესახებ“

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა ამხ. პ. ნ. პოსპელოვის მიერ 1952 წლის 21 იანვარს მოსკოვში საზეიმო-სამგლოვიარო სხდომაზე გაკეთებული მოხსენება „ვ. ი. ლენინის გარდაცვალების XXVIII წლისთავის შესახებ“. (საკლესი).

ნ. ვ. გოგოლის მხატვრულ ნაწარმოებთა კრებულის მესამე ტომი

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოუშვა ნ. ვ. გოგოლის მხატვრულ ნაწარმოებთა კრებულის მესამე ტომი. ტომში გამოქვეყნებულია დიდი რუსი მწერლის ძოთხრობები. წიგნის შენიშვნაში ნათქვამია, რომ ამ წიგნში იბეჭდება მოთხრობები, რომლებიც ნ. ვ. გოგოლმა 1842 წელს გააერთიანა განსაკუთრებულ მხატვრულ და იდეურ ციკლად. ახლა დაცულია თვით ავტორის მიერ დადგენილი მოთხრობათა გამოქვეყნების თანმიმდევრობა. ტომში შევიდა მოთხრობები: „ნევის პროსპექტი“, „ცხვირი“, „პორტრეტი“, „შინელი“, „ეტლი“ და სხვ. (საკლესი).

ჩვენს რესპუბლიკაში

★

ურალის ვაგონმშენებელთა ძვირფასი ნამოწყება

ნიჟნი ტაგილი. (საკლესი). ურალის ვაგონმშენებელი ქარხნის ერთთვალა ურიკების საამქროს ახალგაზრდა მუშების — ოვსიანიკოვის, ფილიმონოვის, ტექნოლოგ ივანოვას, კბილანსაჭრელი უბნის უფროსის კრიულინის ინიციატივით საწარმოში დაიწყო შეჯიბრება თვითეულ სამუშაო ადგილას ზედნადები ხარჯების კომპლექსური შემცირებისათვის.

ერთთვალა ურიკების საამქროში დადგმულია ზეთსალექრები. ეს საშუალებას მისცემს კბილანსაჭრელ უბანს წელიწადში სამ თვეს იმუშაოს დაზოგილი საპოხი მასალებით. განლაგების ახალი, უფრო რაციონალური ხერხები შესაძლებლობას შექმნის დაზოგილი იქნას მრავალი ტონა ფერადი ლითონი. ზოგიერთი საწარმო ოპერაციის შეთავსება დაზოგავს 100 ათას კილოვატსაათზე მეტ ელექტროენერგიას. წინასწარი გამოანგარიშებით, ამ საამქროს კოლექტივი თვითეულ სამუშაო ადგილას ზედნადები ხარჯების კომპლექსური შემცირების მეოხებით წლის განმავლობაში მიიღებს 315 ათას მანეთ ზეგეგმითს დაგროვებას.

სტახანოველთა ინიციატივა მოიწონა ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა.

15-კუბმეტრიანი ექსკავატორი

კრამატორსკი. (საკლესი). ნოვოკრამატორსკის სტალინის სახელობის ქარხნის მისასვლელი გზებიდან ციმბირის მეშახტეთა მისამართით გაიგზავნა ამ ქარხანაში დამზადებული 15-კუბმეტრიანი ციცხვით აღჭურვილი მეორე გიგანტური ექსკავატორის დეტალებით დატვირთული უკანასკნელი ვაგონები. სულ ამ ექსკავატორის გადასაზიდავად საჭირო გახდა ასზე მეტი სარკინიგზო პლატფორმა. ქვანახშირის ოთა წესით ამოღების სამუშაოებზე ეს მანქანა შეცვლის რამდენიმე ათასი მაღაროელის შრომას.

ქარხანაში დაიწყო მესამე ასეთი ექსკავატორის დამზადება.

გავაკრიტიკოთ მაგნიტოგორსკელ მეფოლადეთა თაოსნობა

მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა მაგნიტოგორსკელი მეფოლადეების ა. პანჩენკოს, ი. ხუდაიკოვისა და ა. როდიჩევის — შინაგანი რეზერვების მაქსიმალურად გამოყენებისათვის, საწარმოო დანაკარგის ლიკვიდაციისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორების თაოსნობა.

მათი თაოსნობით მეფოლადეებმა, რომლებიც № 23 მარტენის ღუმელზე მუშაობენ, გადაწყვიტეს 1952 წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვან რამდენიმე ათასი ტონა ფოლადი, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება და ჩვენს ქვეყანას მისცენ ნახევარი მილიონი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია. მათ გადაწყვიტეს რომონტთა შორის ღუმელის კამპანია გაადიდონ 22 ნადნობით და ამის მეოხებით მიმდინარე რემონტის ხარჯები 200 ათასი მანეთით შეამცირონ. სტახანოველებმა იკისრეს ფოლადი გამოადნონ მხოლოდ ჩქაროსნული მეთოდით, დაზოგონ 750 ტონა პირობითი სათბობი და 500 ტონა ცეცხლგამძლე მასალები.

მეფოლადეთა პატრიოტულ წამოწყებას მხარი დაუჭირეს ჩელიაბინსკის, ზლატოუსტის, ელექტროსტალის მეტალურგებმა.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რა მაგნიტოგორსკელ მეფოლადეთა თაოსნობას, კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა ფართოდ გაავრცელოს იგი ჩვენი ქვეყნის ყველა მეტალურგიულ საწარმოში. (საკლესი).

მოსკოვის მეტროპოლიტენის დიდი რკალის ახალი ხაზის სადგური „ნოვოსლობოდსკაიას“ გარეთა ვესტიბიული.

ფოტო ნ. გრინოვსკისა და ლ. ვულოკიანისა. (საკლესის ფოტოქრონიკა)

თბილისის მშრომელთა დეპუტატების მესამე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეხუთე სესია

4 თებერვალს შედგა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მესამე მოწვევის საქალაქო საბჭოს მეხუთე სესია.

სესიის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: ზ. კეცხოველი, მ. ლელაშვილი, ვ. ეგნატაშვილი, ი. ყუჯიაშვილი, გ. ზედგინიძე, ე. ჩერქეზია, თ. ქვლივიძე, გ. ჯიბლაძე და სხვ.

სესიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა დეპუტატი ი. სხირტლაძე, მდივნად — დეპუტატი მ. ჭიჭინაძე.

სესიამ მოისმინა და განიხილა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. გ. ზამბახიძის მოხსენება — თბილისის საქალაქო მეურნეობის განვითარების 1951 წლის გეგმის შესრულების შედეგებისა და 1952 წლის გეგმის შესახებ.

დღის წესრიგში ამ საკითხის დაყენება, — განაცხადა მომხსენებელმა, — არ არის შემთხვევითი. დეპუტატთა ასეთი ცოცხალი ინტერესი საქალაქო მეურნეობის განვითარების საკითხისადმი გამოწვეულია იმით, რომ ისინი თავიანთი ქალაქის კეთილმოწყობის აქტიურ მონაწილენი არიან. მათ სურთ შეაჯამონ გასულ წელს ჩატარებული მუშაობა და დასახონ იმ ამოცანების შესრულების გზები, რომლებიც მომდინარე წელს დგას საქალაქო მეურნეობის წინაშე. დეპუტატებს სურთ თავიანთი ქალაქი იხილონ კიდევ უფრო უკეთესი, უფრო მშვენიერი, ვიდრე დღეს არის.

შეეხო რა საქალაქო მეურნეობის განვითარების 1951 წლის გეგმის შესრულების შედეგებს, ამხ. ზამბახიძემ აღნიშნა, რომ გასულ წელს მარტო საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით საქალაქო მეურნეობაში, სარემონტო სამუშაოთა და ოპერაციული სახსრების ანგარიშში შესრულებულ სამუშაოთა ჩათვლით, დაბანდებული იყო 104.725 ათასი მანეთი, გეგმით კი დაბანდებული უნდა ყოფილიყო 113.844 ათასი მანეთი. გეგმა შესრულებულ იქნა 97,5 პროცენტით.

საქალაქო მეურნეობაში ასეთი დიდი თანხების დაბანდებით ნათლად არის გამოხატული პარტიისა და მთავრობის, პირადად დიდი სტალინის უდიდესი მზრუნველობა მოსახლეობის საჭიროებისათვის.

1951 წლის 1 იანვრისათვის ყველა უწყებისა და ორგანიზაციის ხაზით, მათ შორის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ობიექტების ჩათვლით, ქალაქში შენდებოდა 140 შენობა — საბინაო და სამოქალაქო დანიშნულების ნაგებობა — სადაც 225 ათასი კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობით, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 376 მილიონ მანეთს აღწევდა. 1951 წლის განმავლობაში საექსპლოატაციოდ გადაეცა საბინაო და სამოქალაქო დანიშნულების სულ 38 შენობა 28.716 კვადრატული მეტრი სასარგებლო ფართობით.

გასულ წელს გამოყოფილ იქნა მიწის 390 ნაკვეთი ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის. ახალმშენებელთა უმრავლესობა დროზე შეუდგა სახლების აგებას. საქალაქო საბჭოს აღმასკომი ნაწილობრივ უზრუნველყოფდა მათ ადგილობრივი საშენი მასალით. ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების მშენებლობა სერიოზული ღონისძიებაა ქალაქის არსებული საბინაო ფონდის შემდგომი გადიდებისათვის. ამიტომ აღმასკომი მას სათანადო ყურადღებას აქცევს.

შემდეგ მომხსენებელი ლაპარაკობს ქალაქში ახალი ხიდების, გზების მშენებლობის შესახებ; ქუჩების მოკირწყვლის, ქალაქის ძველი და ახალი ქუჩების მოასფალტების შესახებ. მარტო საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო სამმართველოს ხაზით ამ საქმეზე ათვისებულ იქნა 18 მილიონ მანეთზე მეტი, ე. ი. გეგმა შესრულებულ იქნა 102,9 პროცენტით.

დიდი სამუშაოებია შესრულებული ქალაქის წყალსადენის რეკონსტრუქციისა და მისი მეურნეობის განვითარებისათვის. გასულ წელს „თბილწყალსადენის“ ტრესტი ეწეოდა ბულაჩაურის წყლის მიღებასთან დაკავშირებულ სამუშაოებს. მნიშვნელოვნად გაფართოდა ელექტრომეურნეობის ქსელი. ქალაქის ტერიტორიაზე მოეწყო მწვანე ნარგავების ახალი მასივები, ათობით სახლი, რომელიც ავარიულ მდგომარეობაში იყო, შეკეთდა და წესრიგზე იქნა მოყვანილი. ამავე სახლებში მოწესრიგდა აგრეთვე წყალსადენის, ელექტრობისა და კანალიზაციის შიდაგაყვანილობის ქსელი. ქალაქს ამშვენებს მრავალი ახალი სახლი, რომლებიც აშენებულია ჩვენი დედაქალაქის საუკეთესო არქიტექტორების პროექტებით. გაუმჯობესებულია საქალაქო ტრანსპორტის ყველაზე მასობრივი სახის — ტრამვაის მუშაობა, უკეთესად მუშაობს აგრეთვე ტროლეიბუსის პარკი.

ამხ. ზამბახიძე თავისი მოხსენების შემდგომ ნაწილში სესიას მოუთხრობს იმაზე, თუ როგორ შეასრულეს გეგმები საქალაქო საბჭოს სისტემის ცალკეულმა ტრესტებმა და ორგანიზაციებმა.

—საქალაქო საბჭოს აღმასკომის სისტემაში, — ამბობს მომხსენებელი, — ყველაზე დიდი სამშენებლო ტრესტია „თბილისშენი“. 1951 წელს ტრესტისათვის დამტკიცებულ სამუშაოთა გეგმა ითვალისწინებდა 44.200 ათასი მანეთის ათვისებას, აქედან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ობიექტებზე — 33 მილიონ მანეთის რაოდენობით, ხოლო სხვა უწყებების ობიექტებზე — 11.200 ათასი მანეთის რაოდენობით. ტრესტმა გასულ 1951 წელს ვერ შეასრულა დაწესებული გეგმა. ითვისა მხოლოდ 38.786 ათასი მანეთი, ანუ წლიური გეგმის 87,7 პროცენტი. მთგან საქალაქო საბჭოს აღმასკომის ობიექტებზე ათვისებულ იქნა 25.542 ათასი მანეთი, ე. ი. გეგმის 85,1 პროცენტი. შედარებით უკეთესი მაჩვენებლები ჰქონდა ტრესტს სხვა უწყებათა ხაზით კაპიტალურ მშენებლობათა გეგმების შესრულების საქმეში. სერიოზული ჩამორჩენა იყო ელბაქიძის სახელობის ხიდის რეკონსტრუქციის გეგმის შესრულებაში. ამ სამუშაოს ასრულებს ტრესტის მე-5 საძშენებლო კანტორა, რომელმაც გასული წლის გეგმა საერთოდ 70,6 პროცენტით შეასრულა. გეგმების შესრულებაში სერიოზული ჩამორჩენა ჰქონდათ ტრესტის თითქმის ყველა სამშენებლო-სამონტაჟო კანტორებს. გეგმას გადააჭარბა მხოლოდ იმ საამშენებლო კანტორამ, რომლის უფროსია ამხ. ბალანჩივაძე.

მომხსენებელი ჩამოთვლის იმ ობიექტებს, რომლებიც გასულ წელს უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ დავალება ვერ შესრულდა ან აღნიშნულ ობიექტებზე მშენებლობა ანლაც გრძელდება. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ მთელ რიგ მშენებლობებზე მოწესრიგებული არ არის შრომა, რის გამო მშენებლობის ტემპი საგრძნობლად ჩამორჩება, რაც იწვევს გეგმების დროზე შეუსრულებლობას. ამის მიზეზი, როგორც მომხსენებელმა განაცხადა, ის არის, რომ სამშენებლო-სამონტაჟო კანტორების უფროსები და მათი მთავარი ინჟინრები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ცალკეული ოსტატებისა და მუშების კვალიფიკაციის ამაღლებას, არ ეწევიან ბრძოლას წუნისმკეთებელთა წინააღმდეგ, არ აწყობენ ახალგაზრდა მუშების სწავლებას, მუშებს არ უქმნიან აუცილებელ საბინაო საყოფაცხოვრებო პირობებს, ნაკლებად ზრუნავენ თავიანთი პოლიტიკური და ტექნიკური ცოდნის დონის ასამაღლებლად, არ სწავლობენ და არ განაზოგადებენ მოწინავე სტახანოველების გამოცდილებას.

ტრესტის ცუდი მუშაობის ერთ-ერთ მიზეზად მომხსენებელი ასახელებს აგრეთვე საქალაქო საბჭოს აღმასკომის სპეციალურ ორგანიზაციის — „თბილქალაქპროექტის“ მიერ სპეციალურ სამუშაოთა მნიშვნელოვანი დაგვიანებით შესრულებას.

ტრესტ „თბილისმშენს“ ყოველგვაროი პირობები აქვს უკეთესად მოაწყოს მუშაობა და უზრუნველყოს მის წინაშე დასახული ამოცანების დროულად შესრულება. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ტრესტმა დასახელებულ ნაკლოვანებათა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გამოასწორა. მომდინარე 1952 წელს, შარშან დაწყებულ სამშენებლო ობიექტებს გარდა, ტრესტს ექისრება ახალ დიდ ნაგებობათა მშენებლობა, როგორიც არის, მაგალითად, პარტიის თბილისის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საბჭოს აღმასკომის ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა საბურთალოზე, ამავე ორგანიზაციების თანამშრომელთა ახალი დიდი საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, ორჯონიკიძის რაიონში ახალი კინოთეატრის მშენებლობა და სხვ. ამ მშენებლობათა დროზე დამთავრება ტრესტის მთელი კოლექტივის ღირსების საქმეა.

მომხსენებელი ჩერდება საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო სამმართველოს და თბილწყალსადენის ტრესტის მიერ 1951 წელს გაწეულ მუშაობაზე და აღნიშნა ზოგიერთი ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორებასაც აღნიშნული ორგანიზაციების მუშაკებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. მნიშვნელოვანი წარმატებაა მოპოვებული საქალაქო ელექტრომეურნეობის განვითარებაში. მაგრამ ამ მხრივაც ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი, რაც დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს.

კარგი მუშაობის მაგალითს იძლევა თბილისის საქალაქო ტრანსპორტის მუშაკთა მძლავრი კოლექტივი. მომხსენებელი ვრცლად შეეხო ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მიერ გაწეულ მუშაობას რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა მომსახურების გაუმჯობესების დარგში. მიღწევები არის, შენიშნავს მომხსენებელი, მაგრამ ამ მიღწევებმა ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს მუშაკთა თავბრუდახვევა არ უნდა გამოიწვიოს. ფაქტები მოწმობენ, რომ მუშაობაში მათ ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი აქვთ, რის გამოსწორებასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ.

მომხსენებელმა სესიის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა აგრეთვე წყალკანალტრესტის მუშაობაზე, ქალაქის გამწვანების, სახალხო განათლების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის და სხვა დარგებში გაწეულ მშენებლობებზე არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების გზებზე.

ამხ. ზამბახიძემ დაწვრილებით ილაპარაკა საქალაქო მეურნეობის განვითარების დარგში მომდინარე წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომისა და მისი სისტემის ტრესტებისა და ორგანიზაციების წინაშე მდგომ უდიდეს ამოცანებზე.

— 1952 წელს, — თქვა ამხ. ზამბახიძემ, — გათვალისწინებულია 139 სახლის კაპიტალური რემონტი, 400 სახლში ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების შეცვლა და რემონტი. დაგეგმილია აგრეთვე დემობილიზებულ მეომართა და ფრონტზე დაღუპულთა ოჯახების 100 ბინის შეკეთება. 250 სახლში რემონტი გაუკეთდება ელექტრომომარაგების შიდაგაყვანილობის მაგისტრალს. სერიოზული ყურადღება მიექცევა ქალაქში სავაჭრო ქსელისათვის სათავსების გაფართოებას. ყველა ახალ შენობათა პირველი სართულები, როგორც გათვალისწინებულია მთავრობის დადგენილებით, გადაეცემა სავაჭრო ორგანიზაციებს მაღაზიების მოსაწყობად. გაუმჯობესდება მოსახლეობის კომუნალური ობიექტების მუშაობა, მოხდება მათი გაფართოება და რეკონსტრუქცია.

ქალაქის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ორთაჭალის ჰიდროელექტროსადგურის ამუშავება. კაშხალის მშენებლობა წარმატებით მიმდინარეობს. მისი აგება გამოიწვევს წყლის დონის ამაღლებას და მტკვრის გადაქცევას სატრანსპორტო მდინარედ თითქმის 6 კილომეტრ მანძილზე. ეს გვაძლევს ახლავე მოვემზადოთ ამ სამდინარო მაგისტრალის გამოსაყენებლად, ყველაფერი გავაკეთოთ, რათა უახლოეს ხანში დავამთავროთ ყველა აუცილებელი სამუშაო.

დასასრულ, მომხსენებელმა სესიის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა საბჭოთა კანონიერების განმტკიცების, სოციალისტური საკუთრების დაცვისა და სახელმწიფო დოვლათის მტაცებლობისა და განიავების წინააღმდეგ ბრძოლის გადაუდებელ ამოცანებზე.

შემდეგ სესიამ მოისმინა საქალაქო საბჭოს კომუნალური მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ლ. დიასამიძის თანამოხსენება. მან ილაპარაკა მუდმივი კომისიის მიერ საქალაქო მეურნეობის 1951 წლის განვითარების გეგმის შესრულების საქმეში აღმასკომის და მისი კომუნალური მეურნეობის განყოფილების დასახმარებლად გაწეულ მუშაობაზე.

მოხსენებათა გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ბ. მეფარიშვილმა (ორჯონიკიძის რაიონის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე), ა. ჩიტაიშვილმა (ტრესტ „თბილისმშენის“ მმართველი), ვ. ეპიტაშვილმა (თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე და კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე), ლ. ელიავშვილმა (საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე), ა. ტიმოფეევამ (ქალთა მე-4 საშუალო სკოლის დირექტორი), ნ. ორჯონიკიძემ (სპილენძსატკეცი ქარხნის დირექტორი), ვ. მარშანამ (თბილისის საქალაქო საბჭოს საგზაო მშენებლობის სამმართველოს უფროსი).

მოხსენებათა გამო სესიამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

ლენინგრადი. ა. მ. გორკის სახელობის სტამბა „პეჩატნი დვორში“ 1951 წელს დამთავრდა ვ. ი. ლენინის თხზულებათა 35-ტომიანი მე-4 გამოცემის ბეჭდვა. გამოცემა გამოშვებულია 500-ათასიანი ტირაჟით. ამჟამად გრძელდება მუშაობა ამ გამოცემის დამატებითი 100-ათასიანი ტირაჟის გამოსაშვებად. სურათზე: წიგნების სამოლოო შემოწმების კონვეიერი. წინა პლანზე — შემმოწმებელი რ. ა. ბიკიაშვილა, რომელიც ნორმას 180 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ლ. კოროვინისა. (საკავშირო ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში

4 თებერვალს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში გაიხსნა ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ მოწვეული თათბირი, რომელზეც განიხილავენ საკითხს ენის განვითარების შინაგანი კანონების შესახებ სტალინის გენიალური შრომის „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ თვალსაზრისით.

თათბირმა დიდი ინტერესი გამოიწვია მეცნიერთა საზოგადოებრიობაში. თათბირში მონაწილეობს დაახლოებით 900 მეცნიერი—ენათმეცნიერები, მოსკოვის უნივერსიტეტის, პედაგოგიური ინსტიტუტების პროფესორები და მასწავლებლები, მთელი რიგი უმაღლესი სასწავლებლების უცხო ენათა კათედრების ხელმძღვანელები, აგრეთვე ასპირანტები და სტუდენტები.

თათბირის გახსნისას პროფესორმა ვ. ი. ბორკოვსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემების შემოქმედებითს განხილვას სტალინის საენათმეცნიერო მოძღვრების თვალსაზრისით. ი. ბ. სტალინის გენიალურ შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები“ ენის განვითარების შინაგან კანონთა შესწავლა მიჩნეულია ენათმეცნიერების მთავარ ამოცანად. წლინახევრის განმავლობაში საბჭოთა ენათმეცნიერებმა ბევრი იმუშავეს ცალკეულ ენებსა და მონათესავე ენათა ჯგუფებში ამ კანონების რაობის შესასწავლად.

მოხსენება „ენის განვითარების შინაგანი კანონების ცნება მარქსისტული ენათმეცნიერების საერთო სისტემაში“ გააკეთა აკადემიკოსმა ვ. ვ. ვინოგრადოვმა. ენის განვითარების შინაგანი კანონების ანალიზისა და ამ საკითხის ცალკეულ გამოკვლევათა კრიტიკული განხილვის საფუძველზე ვ. ვ. ვინოგრადოვმა დაახასიათა რუსულ ენაში სიტყვის სტრუქტურის განვითარების ისტორია.

თათბირი 4 დღეს გასტანს. მის პროგრამაშია მოხსენებები: ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ბ. ა. სერებრენიკოვისა—„ენის განვითარების შინაგანი კანონები რაობის გამორკვევისათვის“, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ვ. ნ. იარცევასი—„ენის განვითარების შინაგანი კანონები და ენის სისტემა“, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. მ. ჟირმუნსკისა—„ენის განვითარების შინაგანი კანონების საკითხისათვის (გერმანული ენის მასალის მიხედვით)“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. ა. ზვეგინცევისა — „ენის ფუნქციონირება და განვითარება“, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის მ. მ. გუხმანისა. — „ენის განვითარების შინაგანი კანონები და ენათა ნათესაობა“. (საკ. ინ.).

უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

მოსკოვის მეცნიერთა სახლში 4 თებერვალს გაიხსნა უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობის შესახებ მოხსენება გააკეთეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. ნ. ნესმეიანოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილემ ვ. პ. ელიუტინმა.

დაახლოებით სამი წლის წინათ ლენინგრადის მეცნიერებმა დაიწყეს მოძრაობა მეცნიერების მოღვაწეებსა და წარმოების მუშაკებს შორის შემოქმედებითი კავშირის დამყარებისათვის. ამ თაოსნობამ, რომელსაც მხურვალედ დაუჭირეს მხარი ჩვენი ქვეყნის მეცხიერმა მუშაკებმა, ერთსულოვანი გამოხმაურება ჰპოვა მუშებში, ინჟინრებსა და ტექნიკოსებში. მარტო სახელმწიფო უნივერსიტეტების კოლექტივებმა გასულ წელს სახალხო მეურნეობის დასახმარებლად შეასრულეს 500-ზე მეტი მნიშვნელოვანი სამუშაო, რომელთაგან 185 განკუთვნილია კომუნიზმის დიად მშენებლობათათვის. მეცნიერებმა საწარმოებში და მშენებლობებზე, კლუბებსა და წითელ კუთხეებში წაიკითხეს ათეულათასობით ლექცია და მოხსენება ახალი ტექნიკისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მიღწევათა დანერგვასთან დაკავშირებულ თემებზე.

სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ლაბორატორიების კოლექტივებმა მუშებთან და ინჟინრებთან შემოქმედებითი თანამშრომლობით შექმნეს ახალი მარკების ფოლადი, გაუმჯობესეს მიწის შრომატევადი სამუშაოები, შექმნეს სრულყოფილი აპარატურა და ავტომატები. ურალში შემუშავებულია ფოლადის მსხვილი კონსტრუქციების შედუღების მეთოდები, რომელთა დანერგვამ მნიშვნელოვნად გაადიდა შრომის ნაყოფიერება და მოსპო წუნი.

მომხსენებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს პროფკავშირების მნიშვნელოვანი როლი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და წარმოების მუშაკთა შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდგომ განვითარებაში, სტახანოვური პრაქტიკით მეცნიერების გამდიდრებაში. (საკ. ინ.).

ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის

საუბარი საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროს ამხ. ბ. გუჯეჯიანთან

საქართველოს მეშახტეებმა ბოლშევიკურად გაანაღდეს ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობა და ვადამდე შეასრულეს 1951 წლის საწარმოო დავალება, გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცეს ათიათასობით ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირი.

ეს წარმატებანი მოპოვებულია მეშახტეთა გმირული შრომით, შახტებში მოწინავე სამთო ტექნიკის დანერგვითა და მისი უკეთ გამოყენებით, საქართველოსა და კომბინატ „დონბასანტრაციტის“ მეშახტეებს შორის ხალხთა სტალინური შეგობრობის საფუძველზე დაწყებული ტრადიციული სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებით.

შარშან განსაკუთრებით კარგად იმუშავა ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივმა. ტრესტის ოთხივე შახტმა წლიური გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით ვადამდე შეასრულა. მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ საკავშირო პროფსაბჭოს და ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს გადაწყვეტილებით ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტს გასული წლის მეოთხე კვარტალში მაღალი მაჩვენებლების მოპოვებისათვის მიენიჭა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. მამაცურად მუშაობდნენ ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობისა და გელათის შახტების კოლექტივებიც, რომლებმაც ათასობით ტონა ზეგეგმითი ქვანახშირის ამოღებით უზრუნველყვეს მთლიანად ტრესტის მიერ წლიური გეგმის წარმატებით შესრულება. დიდი ჩამორჩენით დაამთავრა 1951 წელი ახალციხის შახტების სამმართველომ, რომელმაც ქვეყანას 60 ათასი ტონა ქვანახშირი დააკლო.

ახალ, 1952 წელს საქართველოს მეშახტეებმა დიდი და საპატიო ამოცანები უნდა გადაწყვიტონ. მომდინარე წლის გეგმა ითვალისწინებს არა მარტო ქვანახშირის ამოღების შემდგომ ზრდას, არამედ ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლისა და ქვანახშირის მოპოვების ტექნოლოგიის ძირეულ გაუმჯობესებასაც.

წელს უფრო გაიზრდება შახტების შეიარაღება ახალი, მოწინავე სამთო ტექნიკით, რომლითაც საბჭოთა სახელმწიფო უხვად ამარაგებს მეშახტეებს. ტყვარჩელის შახტებში გაორკეცდება „დონბასის“ მარკის ქვანახშირის კომბაინებისა და მძიმე ტიპის მძლავრი საყელავი მანქანების რაოდენობა. ტყიბულში ლენინის სახელობისა და სტალინის სახელობის შახტებში დაიდგმება ახალი მძლავრი კომპრესორები და რხევითი ტიპის კონვეიერები, ახალი ელმავლებითა და ვაგონებით შეივსება შახტების საელმავლო და სავაგონო პარკები. მოეწყობა მიწისქვეშა გამონამუშევრების განაფება დღის სინათლის ლამპებით რამდენიმე კილომეტრ მანძილზე.

მომძმე დონბასელ მეშახტეთა მაგალითისამებრ 1951 წელს საქართველოს ქვანახშირის რაიონებში გადაიდგა პირველი ნაბიჯი მუშაობის მოწინავე მეთოდის — ციკლური გრაფიკის დანერგვისათვის. ამ მხრივ წელს კიდევ უფრო ფართოდ გაიშლება მუშაობა. 1952 წლის ბოლოსათვის ციკლური გრაფიკით იმუშავებს 21 ლავა, ნაცვლად 1951 წლის დეკემბერში ამ მეთოდით მომუშავე 11 ლავისა.

1952 წელს ქვანახშირის ფენების დამუშავების ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი დაინერგება ტყიბულის ყველა შახტში და ამ მეთოდით ამოღებულ იქნება თითქმის იმდენივე ქვანახშირი, რამდენსაც იძლეოდნენ ომამდელ 1940 წელს ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტები ერთად აღებულნი. არ შეიძლება არ აღინიშნოს ის ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც გასწიეს ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის თანამრომა მექანიკოსმა ნ. კრავჩენკომ და ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნოების უფროსმა ვ. კაზიონიმ ჰიდრავლიკური ვსების მთელი რიგი დანადგარების კონსტრუქციული გაუმჯობესებისათვის.

ტყიბულში, ტყვარჩელსა და ახალციხეში დიდი სამუშაოები განხორციელდება საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის დარგში. მომდინარე წელს მეშახტეთა ახალი ბინების მშენებლობაზე დაიხარჯება 45,4 მილიონი მანეთი. ბინათმშენებლებმა წლის განმავლობაში უნდა ააგონ და საექსპლოატაციოდ გადასცენ 26 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. წელს უნდა დამთავრდეს აგრეთვე სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს სანატორიუმის აგება ყალეტებოში.

ახალი სამეურნეო წლის პირველი თვის — იანვრის — შედეგები ცხადყოფენ, რომ საქართველოს მეშახტეები წარმატებით ასრულებენ მოძმე დონბასელ მეშახტეებთან შეჯიბრებაში ნაკისრ ვალდებულებებს. საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა ქვანახშირის ამოღების იანვრის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. ყველაზე წინ მიდის ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის კოლექტივი.

მეტი და მაღალხარისხოვანი ქვანახშირისათვის ბრძოლაში მოპოვებული პირველი წარმატებანი იმის შედეგია, რომ შახტებისა და უბნების კოლექტივები სამუშაო ფრონტისა და სამთო მოსამზადებელი სამუშაოების მხრივ უკეთ მომზადებული შეხვდნენ ახალ სამეურნეო წელს, გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია და მექანიზმების გამოყენება. ამოცანა ის არის, რომ განვამტკიცოთ მიღწეული წარმატებანი და უზრუნველყოთ ყველა შახტისა და უბნის მიერ გეგმის რიტმიულად შესრულება.

ტყიბულელ მეშახტეთა პატრიოტული მოწოდების პასუხად ჩვენი რესპუბლიკის ქვანახშირის რაიონებში სულ უფრო თაროდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის. თავდადებული პატრიოტული შრომით საქართველოს მეშახტეები სასახელოდ გაანაღდებენ 1952 წლის დავალებებს და წლიური გეგმის გადამეტებით ქვეყანას მისცემენ ათასობით ტონა მაღალხარისხოვან ქვანახშირს.

საწარმოთა შეფობა მანქანა-ტრაქტორთა საგზურებზე

ქუთაისის ოლქის საწარმოებში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ოლქის საწარმოთა კოლექტივები, რომლებმაც მტკიცე კავშირი დაამყარეს საშეფო მანქანა-ტრაქტორების სადგურებთან, ენერგიულად შრომობენ მათს დასახმარებლად.

ქუთაისის მანქანათმშენებელი ქარხანა სამტრედიის მტს-ის შეფია. ამ დღეებში ქარხნის სპეციალისტთა ბრიგადამ ადგილობრივ შეისწავლა მტს-ის საჭიროებანი და დაკვეთები მიიღო, რის შესასრულებლადაც უკვე მუშაობენ.

ადგილზე ინახულეს თავისი საშეფო მტს-ი ავტოქარხნის წარმომადგენლებმაც. ისინი რამდენჯერმე იყვნენ წყალტუბოს მტს-ში და მუშაობა გააჩაღეს საშეფო მტს-ის დაკვეთების შესასრულებლად.

საშეფო მტს-ებისათვის დასახმარებლად ასევე ენერგიულად მუშაობენ ფოთის საწარმოები, რომლებიც შეფობას უწევენ ხობის მტს-ს, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა (ზესტაფონის მტს-ი), ენგურის ქალალდის კომბინატი (ზუგდიდის მტს-ი) და ოლქში შემავალი მთელი რიგი სხვა საწარმოები.

ქარხანა ვადამდე ასრულებს მგს-ის შეკვეთებს

თბილისის მექანიკური ქარხნის კოლექტივი დიდ დახმარებას უწევს ლაგოდეხის საშეფო მტს-ს, ვადამდე და მაღალხარისხოვნად ასრულებს მის შეკვეთებს. სტახანოველ ი. დრეჩენკოს ბრიგადამ მტს-ისათვის შეაკეთა ტრაქტორის მარჯვენა მუხლუხი. სტახანოველებმა მ. ოგანესოვმა და ე. გრეჩკინმა ვადამდე ჩამოასხეს მილისები.

შეკეთებული სატრაქტორო კვანძები და დეტალები, აგრეთვე ინსტრუმენტები მტს-ს გაეგზავნა.

ქარხანამ ლაგოდეხში მიავლინა კვალიფიციური მუშების ბრიგადა, რომელიც მტს-ის მექანიზატორებს საწნეო უროს დაყენებაში დაეხმარა.

იანვრის გეგმა ვადამდე შეასრულეს

სტალინირი. (საკ. კორ.). შარშან პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა გადაჭარბებით შეასრულა სტალინირის ლუდის ქარხანამ.

ქარხნის კოლექტივი ახალი წლის პირველი დღეებიდანვე იბრძვის უფრო თვალსაჩინო წარმატების მოსაპოვებლად. ლუდის გამოშვების იანვრის დავალება ქარხანამ ვადაზე 13 დღით ადრე შეასრულა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათასობით ლიტრი მაღალხარისხოვანი ლუდი.

პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში საუკეთესო შედეგებს აღწევენ წარმოების მოწინავე ადამიანები ვ. ცხოვრებოვი, ა. თიგიევი, ვ. შვეცოვი, ს. გაბარაევი და სხვები.

კირის ქარხანა კოლმეურნეობაში

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). სოფელ ინჩხურის შერეზიას სახელობის კოლმეურნეობაში დამთავრდა კირის ახალი ქარხნის მშენებლობა. მშენებლობას ხელმძღვანელობდა გამოცდილი სპეციალისტი, ცხაკაიას კირის ქარხნის მთავარი ინჟინერი სოფიო მიქაია.

კირის ახალი ქარხანა კოლმეურნეობას დღეღამეში 10-12 ტონა გამომწვარ კირს აძლევს.

მეჯყევე-ინჟინერთა ახალი კადრი

საქართველოს ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შედგა სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტთა მორიგი გამოშვება. სახელმწიფო გამოცდის ჩაბარების შემდეგ მეტყევე-ინჟინრის წოდებით გამოშვებულ იქნა 34 კურსდამთავრებული.

ბევრმა კურსდამთავრებულმა სადიპლომო შრომა დაწერა და წარმატებით დაიცვა. ასე, მაგალითად, სტუდენტ ოთარ ნაჭყებიამ, რომლის სადიპლომო შრომა ეხებოდა ქარსაცავი ტყის ზოლების დაგეგმარების საკითხს სოფელ პატარა ფოთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში. ასევე წარჩინებით დაიცვეს სადიპლომო შრომები ილია ფარჯანაძემ, ზურაბ დარსალიამ და დავით სარალიძემ.

იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი

დუშეთი. (საკ. კორ.). ცნობილი ქართველი პოეტი ბაჩანა სოფელ ბარისახოდან, სადაც ის მასწავლებლად მსახურობდა, ამ 50 წლის წინათ თავის ძმას თედოს გულისტკივილით სწერდა: „...ნეტა საზოგადოება რომ არა ვთქვა, წიგნები მაინც მქონდეს ბევრი, ბევრი, რაც საჭიროა. მაშინ კიდე აღარას ვიტყოდი...“

მაშინ წერა-კითხვის მცოდნენი დუშეთის რაიონის მაღალმთიან სოფლებში თითებზე ჩამოითვლებოდნენ. წიგნი სანატრელი იყო მთიელი კაცისათვის. საბჭოთა ხელისუფლების წლებში საკოლმეურნეო სოფლები კულტურისა და განათლების ფართო გზას დაადგნენ. ახლა მთაში იშვიათად იპოვით წერა-კითხვის უცოდინარს.

მრავალ სოფელში მოქმედებს დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლა. ყოველწლიურად იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. რაიონში ამჟამად არსებობს

კოლმეურნეობა მზად არის თესვისათვის

წითელწყაროს. (საკ. კორ.). სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი) აღრე შემოდგომაზე საგაზაფხულო კულტურებისათვის მზრალად მოხნა 800 ჰექტარი ფართობი, რომლის დიდ ნაწილზე სიმინდი და მზესუმზირა დაითესება. თესლის დაწმენდაზე და მის შენახვაზე განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ქრისტინე ნატროშვილმა, ნადია ბენაშვილმა და ანა ტოკლიკიშვილმა. კოლმეურნე მჭედლებმა შაქრო ზურაბიშვილმა, ვასილ ფრაბახინმა, ვანო გორგენკომ და ანდრია მუჟიჩენკომ შეაკეთეს 69 ფარცხი, 12 სათესი მანქანა და ორი კულტივატორი. მჭედლები სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეულნი ჰყავთ დურგლებს, რომლებიც ურმების, უღლების და სხვათა დამზადებაზე მუშაობენ. მათ შორის სანიმუშოდ მუშაობენ პეტრე ყოჩიაშვილი, მიხეილ ბენაშვილი, აბრამ ბოსტოღანაშვილი და ალ. ბენაშვილი.

ნათესების დამატებით გამოსაკვებად კოლმეურნეობას დაგროვილი აქვს როგორც ორგანული, ისე მინერალური სასუქები.

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის წარმატებით ემზადებიან

ლაგოდეხი. (სპეც. კორ.). შარშან კოლმეურნეებმა ხორბლის კარგი მოსავალი მოიყვანეს. საგრძნობლად იმატა შრომადღეზე გასანაწილებელი პროდუქტებისა და ფულის რაოდენობამ. კოლმეურნეები უხვად იღებენ პროდუქტებს და ფულს სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომაში“ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი გ. ნატროშვილი), სოფელ ვაშლოვანის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძსა“ (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი გ. გოჩალაშვილი) და ბევრ სხვა კოლმეურნეობაში.

ვაშლოვანელმა კოლმეურნეებმა შრომადღეზე მიიღეს 8 მანეთამდე ფულად, 3 კილოგრამზე მეტი ხორბალი და სხვა პროდუქტები. ახლა აქ გაცნოველებით ემზადებიან საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. 985 ჰექტარზე ამოსულია შეგროვილი ჯეჯილი. მზადა აქვთ სიმინდისა და ბოსტნეულის თესლი. მინდვრის მავნებლების წინააღმდეგ ჯეჯილი ორჯერ შეწამლეს, ამზადებენ სასუქებს ჯეჯილის დამატებით გამოსაკვებად. მზად არის სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, წესრიგზე მოჰყავთ თამბაქოს საგაზაფხულო სასათბურო მეურნეობა. წელს თამბაქო უნდა დარგონ 25 ჰექტარზე. ამ სამუშაოსათვის კარგად ემზადება პირველი ბრიგადა (ბრიგადირი მ. მურადაშვილი), რომელმაც შარშან 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 28 ცენტნერი თამბაქო მოიყვანა. ასეთივე მოწინავეა მეორე ბრიგადა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი გ. კოჭლამაზაშვილი ხელმძღვანელობს.

კოლმეურნეები უკვე გავიდნენ მინდვრად საგაზაფხულო სამუშაოებზე. მიმდინარეობს ნიადაგის გაწმენდა, სადრენაჟო არხების მოწესრიგება, საბოსტნე მიწის მომზადება.

აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გაჯარებაში

მიმდინარე სასწავლო წელს ხაშურის საშუალო სკოლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აღმზრდელობითი მუშაობა. მოწესრიგდა პედაგოგიური კადრების შერჩევისა და დაწინაურების საქმე. რაიონში 600-მდე მასწავლებელი ეწევა ნაყოფიერ მუშაობას. პედაგოგიურ დარგში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის ბევრი მათგანი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების საქმეში კარგ წარმატებებს მიაღწია ქარელის საშუალო სკოლის (დირექტორი ამხ. ვ. ზამთარაძე) პედაგოგიურმა კოლექტივმა. ამ სკოლაში მინიმუმამდეა დაყვანილი მოსწავლეთა უმიზეზო გაცდენები. მასწავლებლები მომზადებული ცხადდებიან გაკვეთილებზე, კარგად მუშაობენ ლაბორატორია-კაბინეტები, ხშირად ეწყობა პედაგოგთა მეთოდური თათბირები. ამ სკოლის რუსული ენის მასწავლებლებმა ნინო გონგლაშვილმა და ალექსანდრა ბახტაძემ მიმდინარე სასწავლო წლის პირველ ნახევარში 92-94 პროცენტამდე აამაღლეს მოსწავლეთა აკადემიური წარმატების დონე.

ხეობის 8-წლიან სკოლაში (დირექტორი ამხ. უბილავა) 159 მოსწავლიდან წარმატება აქვს 134-ს. ასეთივე კარგი წარმატებებით აღნიშნეს სასწავლო წლის პირველი ნახევარი აბისის, ყინცვისის, აბანოს 8-წლიანი, აგარის საშუალო სკოლებმა. კარგი მუშაობით თავი გამოიჩინეს რაიონის მოწინავე მასწავლებლებმა ნ. ქელეხსაევმა, ე. ნადირაშვილმა, ლ. გელაშვილმა, ვ. ხუციშვილმა, გ. კუთხაშვილმა, ი. ხუციშვილმა, შ. ნოზაძემ და სხვ.

არის ნაკლიც. ზოგ სკოლაში დაბალია მოსწავლეთა ცოდნის დონე, ჯერ კიდევ არის სწავლაში ფორმალიზმი და შეფასებაში ლიბერალიზმის შემთხვევები, დაბალია ზოგიერთი მასწავლებლის პედაგოგიური და პოლიტიკური ცოდნის დონე, სათანადო მუშაობა არ წარმოებს ქართული - ენის სიწმინდისათვის.

ატოცის 8-წლიან სკოლაში დღემდე ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ამ საგნების ნაკლებად მცოდნე ა. გულოვი. სოფელ ფცის 8-წლიანი სკოლის პირველი კლასის მასწავლებელმა თ. დარჯანიამ მოსწავლის შეკითხვაზე — „რას ეწოდება ლირიტა?“ — ასეთი პასუხი გასცა: „ლირიტა, ბავშვებო, ეს არის, რომელიც უფრო ხმაურობსო“. რუისის წინაუბნის 8-წლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებელმა ე. კაკელაშვილმა გაკვეთილს გეგმის შედგენისას 17 შეცდომა დაუშვა. ასევე ითქმის რუისის საშუალო სკოლის მასწავლებელ თ. მღებრიშვილზე და სხვ.

ზოგან ყურადღება არ ექცევა სკოლიდან განთავისუფლებულ მოსწავლეთა სწავლაში ჩაბმას. არცევის, სუქანაანთუბნისა და ორთუბნის დაწყებით სკოლებიდან განთესილია 10 მოსწავლე, მაგრამ ამ სკოლების გამგეები თავს არ იწუხებენ იმისათვის, რომ სკოლაში დააბრუნონ ისინი. დირბის საშუალო სკოლაში (დირექტორი თოდაძე) აღმაშფოთებელი მდგომარეობაა. იქიდან განთესილია 52 მოსწავლე. უკეთესი მდგომარეობა არც საღოლაშენისა და კეხიჯვრის 8-წლიან სკოლაშია.

ნაკლები ყურადღება ექცევა რაიონის სკოლების მატერიალური უზრუნველყოფის საქმეს. ურბნისის 8-წლიანი სკოლა მოთავსებულია ალიზით ნაშენ, დაზიანებულ შენობაში. სოფელ ფცის 8-წლიანი სკოლის ოთხი საკლასო ოთახი სკოლის შენობას დაშორებულია 300 მეტრით. ბრეთის საბჭოთა მეურნეობის 8-წლიანი სკოლა მოთავსებულია ამავე მეურნეობის საერთო საცხოვრებლის უვარგის ოთახებში.

სოფელ ატოცის 8-წლიანი სკოლისათვის ახალი კაპიტალური შენობის აგება 1950 წელს დაიწყო. საამისო თანხა დროზე ჩაურიცხა კოლმეურნეობას ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებამ, მაგრამ მშენებლობის დამთავრება დღემდე ჭიანურდება კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. გ. აბაიშვილის უყურადღებობით. აფნისის, ზემო ლეთეთის, ჯაგარაანთკარის, კოდა-ვარდისუბნის დაწყებითი სკოლები მოთავსებულია ვიწრო ბინებში, არა აქვთ სამასწავლებლოები, ამიტომ შესვენების დროს მასწავლებლებს მოსწავლეებთან უხდებათ ყოფნა.

რაიონის ბევრ რვაწლიან სკოლას ბიოლოგია-ფიზიკის კაბინეტები და ბიბლიოთეკები არა აქვს. ამ სკოლებისათვის სასოფლო საბჭოების ბიუჯეტში გათვალისწინებული იყო 713.000 მანეთი, მაგრამ აქედან გასულ წელს ათვისებული იქნა მხოლოდ 150.000 მანეთი.

უდარდელობა გამოიჩინა ქარელის რაიკოოპკავშირმა (თავმჯდომარე ამხ. ვ. კახიშვილი) მოსწავლეთა ნახმარი სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმეში. ამის შედეგად რაიონის სკოლებს გასული წლის ნოემბრამდე 3 ათასზე მეტი სახელმძღვანელო აკლდათ. სკოლებში ამჟამადაც აკლიათ 200 ცალი „დედაენა“ (პირველი, მეორე და მესამე ნაწილი) და V-VIII კლასების ქართული ენის 400 სახელმძღვანელო.

ამ ცოტა ხნის წინათ რაიონში გამართულ მეთოდთათბირებზე სახალხო განათლების მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს სასწავლო წლის მეორე ნახევარი უფრო მაღალი აკადემიური მაჩვენებლებით დაამთავრონ. აღებული ვალდებულების წარმატებით განხორციელების ერთ-ერთი მთავარი პირობაა სკოლებისათვის მტკიცე მატერიალური ბაზის შექმნა. ამ საქმეში სკოლებს ენერგიული დახმარება უნდა გაუწიონ რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ.

ვ. ბურგენიძე

„კომუნისტის“ ხაკუთარი კორესპონდენტი

ჩვენ გვწერენ

დავაკმაყოფილოთ მკითხველთა მოთხოვნა

ქალაქ სტალინირში „სოიუზპეჩატის“ ჟურნალ-გაზეთების მხოლოდ ერთი სავაჭრო კიოსკია. იგი ვერ აკმაყოფილებს სტალინირელ მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებას.

წელს კიოსკი გასულ წლებთან შედარებით შემცირებული რაოდენობით იღებს რესპუბლიკურ გაზეთებს — „კომუნისტს“, „ზარია ვოსტოკას“, ხოლო სრულიად არ იღებს „ახალგაზრდა კომუნისტს“, „ნორჩ ლენინელს“ და სხვ. მეორე წელია კიოსკში აღარ იყიდება გაზეთი „სახალხო განათლება“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ „სოიუზპეჩატის“ სტალინირის კანტორის ხელმძღვანელობა ნაკლებად ზრუნავს იმისათვის, რომ ხელმომწერლებს ჟურნალ-გაზეთები დროულად ჩაბარდეთ. მაგალითად, ერთი წელია, რაც რესპუბლიკური გაზეთები გამოცემის დღესვე ჩამოაქვთ მატარებლით ქ. სტალინირში. მაგრამ რკინიგზის სადგურიდან „სოიუზპეჩატის“ სტალინირის კანტორას ფოსტაში (მანძილი ოთხასიოდე მეტრია) გაზეთები ხშირად ორი-ორნახევარი საათის დაგვიანებით მოაქვს (განსაკუთრებით დასასვენებელ დღეებში).

„სოიუზპეჩატის“ საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ უნდა მიიღოს ზომები მკითხველთა კანონიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

ნ. ზადიშვილი

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„მევასრულოთ საგეგმო დავალება. გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი“

ამ სათაურით „კომუნისტის“ 3 იანვრის ნომერში დაიბეჭდა წერილი, რომელიც შეეხებოდა თბილისის ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკას. წერილში აღნიშნული იყო, რომ ფაბრიკის კოლექტივი ვერ ასრულებს პროდუქციის გამოშვების როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ დავალებას.

როგორც საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის რაიკომის მდივანი ამხ. ი. სხირტლაძე გვაცყობინებს, რაიკომის ბიუროომ განიხილა ფაბრიკის მუშაობის საკითხი. წერილში აღნიშნული ნაკლოვანებანი მთლიანად დადასტურდა. ბიუროს დადგენილებით თანამდებობიდან მოიხსნენ და პასუხისგებაში მიცემულ იქნენ საგამომჭრელო საამქროს უფროსი ნ. ნებიერიძე და უფროსი ბუხჰალტერი ნ. ვორობიოვა. მოხსნილი არიან აგრეთვე ფაბრიკის მთავარი ბუხჰალტერი მარჩენკო და დაცვის უფროსი აბზიანიძე. საამქროების მუშაობის სუსტი ხელმძღვანელობისათვის ფაბრიკის მთავარ ინჟინერს გ. კიკნაძეს გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბარათში შეტანით.

ფაბრიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივმა და ღია პარტიულმა კრებამ განიხილეს პროდუქციის ხარისხის საკითხი.

წერილში აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახულია პრაქტიკული ღონისძიებანი.

დაუსჯელი რაჭომ დაჭოვეს მხილებული კომბინატორი

ეს იყო 1948 წელს. დიმიტრი სილიბისტროს-ძე კობეშავიძეს ახალციხის შახტმშენებლობის მუშათა მომარაგების განყოფილების უფროსის პოსტი ეკავა. ამავე დროს მეზობელ რაიონებში „შეთავსებით“ აწარმოებდა ხილის შესყიდვას რსფს რესპუბლიკაში გასაგზავნად.

დ. კობეშავიძემ შეცდომაში შეიყვანა ასპინძის რაიკოოპკავშირის ხელმძღვანელობა, მოატყუა დამზადების კანტორის მმართველი ა. ბერიძე, რომელიც ბრმად მიენდო კომბინატორს და 16.600 მანეთი ნაღდად ჩააბარა კობეშავიძის თანამშრომელს დ. გველესიანს. გველესიანმა ბერიძეს გამოუწერა 5.200 კილოგრამი ვაშლის შესყიდვის ფაქტურა და უთხრა: ვაშლს ახალციხეში ჩაგაბარებთო. გველესიანმა თანხა თავის „ხაზეინს“ — კობეშავიძეს ჩააბარა და ფულის მიღების ხელწერილი გამოართვა.

კობეშავიძემ ცოტა ხნის შემდეგ მოახერხა ახალციხიდან წასვლა და თბილისში დაბინავება. ასპინძის რაიკოოპკავშირის დამზადების კანტორის მმართველის ა. ბერიძისათვის გაურკვეველი დარჩა, თუ სად წავიდა კობეშავიძე. ამიტომ მან დაკარგა ვაშლის მიღების იმედი. აშკარა გახდა, რომ პასუხისგება და 16.600 მანეთის გადახდა მასვე დაეკისრებოდა. დანაშაულისაგან თავის დაძვრენის მიზნით ბერიძემ შეადგინა ასპინძელი 4 მოქალაქისაგან ვაშლის შესყიდვის ყალბი აქტები, რომლებიც წარუდგინა დამზადების ცენტრალური საწყობის გამგეს იასონ მელიქიძეს. ამ უკანასკნელმა აქტებს სისწორე არ შეამოწმა და საქონლის მიუღებლად გამოუწერა 5.200 კილოგრამი ვაშლის შემოსავლის ფაქტურა. ასეთი მაქინაციით ბერიძემ მოახერხა რაიკოოპკავშირის ბუხჰალტერიაში კობეშავიძის მიერ გატაცებული 16.600 მანეთზე პასუხისმგებლობის მოხსნა. ამით გადარჩა კობეშავიძე, თავს უშველა ბერიძემაც.

ასპინძიდან 16.600 მანეთის გატაცებით არ დასრულებულა კობეშავიძის დანაშაულებრივი მოქმედება. იგი ესტუმრა ახალციხის რაიონის სოფელ კლდის მცხოვრებ იაშა კურტანიძის ოჯახს, რომლის საშუალებითაც დაუახლოვდა კოლმეურნეებს, მათგან ნისიად შეისყიდა 5 ტონა ვაშლი—კილოგრამი 10 მანეთად. დასაბუთებულია, რომ ეს ვაშლი მან სასპეკულაციოდ შეიძინა. ეს მოხდა 1948 წელს. კოლმეურნეებს დღემდე არ მიუღიათ ვაშლის საფასური.

ამასთან დაკავშირებით გამოაშკარავებულია, რომ დ. კობეშავიძემ სასპეკულაციოდ შესყიდული და სხვა დანიშნულების ვაშლი რკინიგზის ახალციხის საბარგო სადგურში მიიტანა, საიდანაც ეს ვაშლი რუსეთში უნდა გაეგზავნათ. იქვე სადგურში მოელაპარაკა ვაშლით დატვირთული ვაგონის გამცილებლებს ვახტანგ პავლესძე ფოცხვერაშვილს, იოსებ მიხეილსძე შარიქაძეს, იაშა ნიკოლოზის-ძე კურტანიძეს — სულ 5 კაცს, რომლებსაც ვაგონის გაცილებისათვის ეკუთვნოდათ გარკვეული თანხა. კობეშავიძემ მათ განუცხადა: თქვენ შახტებში გაგიძღვანდებათ ჩასვლა, დაწერეთ განცხადება „ორსის“ სახელზე, რომ თქვენ ვაგონის გაცილებისათვის გეკუთვნით ორ-ორი ათასი მანეთი. მე ახლავე ჩავალ „ორსის“ ბუხჰალტერიაში და ფულს აქვე მოგიტანთო. დაიწერა განცხადებანი. კობეშავიძემ მიიღო 10.000 მანეთი და მიიმალა.

1950 წელს ასპინძის რაიონის პროკურატურაში დიდხანს იყო გადაქცეული ძიების საგნად კობეშავიძისა და მის თანამეგობართა საქმეები. სახალხო სასამართლომაც იმავე წლის მაისში სამჯერ იმსჯელა კობეშავიძისა და მისი მმაბიჭების დანაშაულებრივ მოქმედებაზე, მაგრამ... კობეშავიძე რატომღაც ყოველთვის გამართლებული გამოდიოდა.

დ. კობეშავიძე ამჟამად თბილისში იმყოფება. თბილისიდან გამოგზავნილ ახსნა-განმარტებითს ბარათში ასპინძის რაიონის საგამომძიებლო ორგანოებს არწმუნებდა, რომ იგი უმწიკვლოა და არავითარი დანაშაული არ მიუძღვის. რაიონის პროკურატურა, დაიყრდნო რა კობეშავიძის „ფიცს“, დანაშაულის მთელი სიმძიმე ბრალდებულ გველესიანზე გადაიტანა, ხოლო კობეშავიძე უმწიკვლოდ ცნო და ასეთი დასკვნა გააკეთა: „არ შეიძლება დაჯერებულ იქნას, რომ კომბინაციის გზით დატაცებულ თანხებიდან კობეშავიძეს ხელწერილი მიეცა გველესიანისათვის, იმიტომ რომ კობეშავიძემ კატეგორიული უარი განაცხადა აღნიშნული ხელწერილით ფულის მიღებისა და ამ ხელწერილზე ხელის მოწერისათვის“.

ასე გამოდის: რადგან დამნაშავემ „კატეგორიული უარი განაცხადა“ თავის დანაშაულზე, იგი უნდა გამართლდეს.

1950 წლის 20 ნოემბერს ახალციხის 1-ლი უბნის სახალხო სასამართლოს პროცესზე, სადაც დამნაშავე მოწმედ გამოდიოდა, მთლიანად გამოაშკარავდა კობეშავიძის კომბინატორობა, აშკარა გახდა ასპინძაში 16.600 მანეთის მითვისება, ახალციხის რაიონის სოფელ კლდეთში სასპეკულაციოდ 5 ტონა ვაშლის შესყიდვა და საბარგო სადგურში ვაგონის გამცილებლებისათვის მისაცემი 10.000 მანეთის გატაცება. სასამართლომ უკანვე დაუბრუნა საქმე ასპინძის რაიონის პროკურატურას „მოწმე“ კობეშავიძის პასუხისგებაში მისაცემად სხვა დამნაშავე პირებთან ერთად.

1951 წელს საქმეს იხილავს ბორჯომის სახალხო სასამართლო. კობეშავიძე კვლავ გამართლებულია. იმავე წლის 6 მარტს საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში კვლავ უდანაშაულოდ ცნეს კობეშავიძე. საქმე თითქოს დავიწყებას მიეცა, მაგრამ კომბინატორ კობეშავიძის დანაშაულებრივი მოქმედება ახსოვთ ახალციხისა და ასპინძის რაიონის მშრომელებს.

ერ. ხარებავა

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ჩქაროსნები

წიწვიან ხეებსა და თოვლით დაფარული ყავილის კვლებს იქით მოჩანს საამქროთა თეთრი, გრძელი კორპუსები. შიდასაქარხნო გზებზე განუწყვეტლივ მოძრაობენ დაზგებით დატვირთული ურიკები.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ვართ. აქ ამზადებენ უნივერსალურ სახარატო-ხრახნსაჭრელ დაზგებს. კიროველები თავიანთ დაზგებს უგზავნიან კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობებს, საბჭოთა საქართველოს სიამაყეს — რუსთავს, ჩვენი ქვეყნის მსხვილ სამრეწველო ცენტრებს.

გულღიად შეგვხვდა ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი.

— რა უფრო გაინტერესებთ ჩვენს ქარხანაში? — გვეკითხება იგი.

—გვინდა გავიცნოთ ქარხნის ახალგაზრდობა, ახალგაზრდა ჩქაროსანი ხარატები, ზეინკლები, ჭედლები.

— მაშ უმჯობესია პირველი მექანიკური საამქროდან დავიწყოთ,—გვირჩია პარტბიუროს მდივანმა და წინ გაგვიძღვა.

პირველი მექანიკური და მესამე ამწყობი საამქრო ქარხნის ძირითადი საამქროებია. პირველში მზადდება სახარატო-ხრახნსაჭრელი დაზგის ცალკეული დეტალები, მეორეში კი დაზგას აწყობენ. ორივე საამქროს მუშების უმრავლესობა ახალგაზრდობაა. ქარხანაში ისინი ახალი წამოწყების, ახალი მოძრაობის მოთავენი არიან. უმრავლესობამ განათლება მიიღო სახელოსნო სასწავლებელში, რომელიც აქვე, ქარხნის გვერდით არის. შემდგომ, თვით საამქროებში, გამოცდილი მასწავლებლების — არტემ ბენდიანიშვილის, პავლე ზუბრიცკის, ავეტის აგაჯანოვისა და სხვათა ხელმძღვანელობით ახალგაზრდები ეუფლებიან რთულ მოწყობილობას და, მოწინავე ქარხნის სასახელო ტრადიციებზე აღზრდილნი, ახალი წარმატებებისათვის იბრძვიან.

ქარხანაში ნაყოფიერად მუშაობენ ახალგაზრდა რაციონალიზატორები გრიგოლ ზარქუა, დიმიტრი დანილოვი, ვლადიმერ სვანი და სხვები. მათს საქმიან წინადადებებს დიდი გულისყურით ეკიდებიან. რაციონალიზატორულ წინადადებათა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ქარხანაში ლითონის დამუშავების ჩქაროსნული მეთოდი დაინერგა.

— დიდი ხანია, რაც ჩქაროსნული მეთოდით მუშაობა დანერგეთ თქვენს ქარხანაში? — ვეკითხები ლევან გოგიჩაძეს, მაღალ, პირხმელ ყმაწვილს, რომელიც საამქროს ერთ-ერთ უბანზე უფროს ოსტატად მუშაობს.

— 1949 წლის მეორე ნახევრიდან.

— ახლა სამუშაო უთუოდ ერთიოორად უფრო სწრაფად სრულდება?

— რატომ ერთიათად არა! — მიპასუხა, — წინათ ბრუნვის სისწრაფე წუთში 40-60 მეტრი იყო, ამჟამად კი ქარხნის ჩქაროსნებმა ბრუნვის სისწრაფე წუთში 500 მეტრამდე აიყვანეს. უფრო ზუსტად გეტყვით,— აქ გოგიჩაძე შეჩერდა და გამოანგარიშებას შეუდგა, — ზოგიერთ სამუშაოს, რომელსაც მუშა წინათ 27 წუთს ანდომებდა, ახლა ექვს წუთში ასრულებს.

ერთ-ერთ დაზგას მივუახლოვდით. საჭრისი საოცარი სისწრაფით ჩარხავს დეტალს. გავარვარებული ნათალი დეტალის გარშემო იგრაგნება, სწყდება და ლურჯ კულულებად იატაკს ეფინება. დაზგასთან ჯმუხი, შავგვრემანი ყმაწვილი დგას. გამოცდილი თვალით აკვირდება სამუშაოს და დროდადრო ჰატარა ონკანიდან გამაციებელ სითხეს უშვებს, რომ ბრუნვის დროს დეტალი ან საჭრისი ძალიან არ გახურდეს.

ეს გახლავთ ჩქაროსანი ხარატი ვარლამ ბაქრაძე. სულ ერთი წელია, რაც ვარლამმა სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრა და ლითონის ჭრის ჩქაროსნულ მეთოდს დაეუფლა. ამას წინათ ქარხანამ იგი მოსკოვში მიავლინა ახალგაზრდა ჩქაროსნების საკავშირო შეკრებაზე. წარუშლელი შთაბეჭდილებები დაბრუნდა ყმაწვილი დიდი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქიდან და გაასალამიერ სვანი და სხვები. მათს საქმიან წინადადებებს დიდი გულისყურით ეკიდებიან. რაციონალიზატორულ წინადადებათა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ქარხანაში ლითონის დამუშავების ჩქაროსნული მეთოდი დაინერგა.

— დიდი ხანია, რაც ჩქაროსნული მეთოდით მუშაობა დანერგეთ თქვენს ქარხანაში? — ვეკითხები ლევან გოგიჩაძეს, მაღალ, პირხმელ ყმაწვილს, რომელიც საამქროს ერთ-ერთ უბანზე უფროს ოსტატად მუშაობს.

— 1949 წლის მეორე ნახევრიდან.

— ახლა სამუშაო უთუოდ ერთიოორად უფრო სწრაფად სრულდება?

— რატომ ერთიათად არა! — მიპასუხა, — წინათ ბრუნვის სისწრაფე წუთში 40-60 მეტრი იყო, ამჟამად კი ქარხნის ჩქაროსნებმა ბრუნვის სისწრაფე წუთში 500 მეტრამდე აიყვანეს. უფრო ზუსტად გეტყვით,— აქ გოგიჩაძე შეჩერდა და გამოანგარიშებას შეუდგა, — ზოგიერთ სამუშაოს, რომელსაც მუშა წინათ 27 წუთს ანდომებდა, ახლა ექვს წუთში ასრულებს.

ერთ-ერთ დაზგას მივუახლოვდით. საჭრისი საოცარი სისწრაფით ჩარხავს დეტალს. გავარვარებული ნათალი დეტალის გარშემო იგრაგნება, სწყდება და ლურჯ კულულებად იატაკს ეფინება. დაზგასთან ჯმუხი, შავგვრემანი ყმაწვილი დგას. გამოცდილი თვალით აკვირდება სამუშაოს და დროდადრო ჰატარა ონკანიდან გამაციებელ სითხეს უშვებს, რომ ბრუნვის დროს დეტალი ან საჭრისი ძალიან არ გახურდეს.

ეს გახლავთ ჩქაროსანი ხარატი ვარლამ ბაქრაძე. სულ ერთი წელია, რაც ვარლამმა სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრა და ლითონის ჭრის ჩქაროსნულ მეთოდს დაეუფლა. ამას წინათ ქარხანამ იგი მოსკოვში მიავლინა ახალგაზრდა ჩქაროსნების საკავშირო შეკრებაზე. წარუშლელი შთაბეჭდილებები დაბრუნდა ყმაწვილი დიდი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქიდან და გაასჭოთა ქვეყნის

ლადიმერ სვანი და სხვები. მათს საქმიან წინადადებებს დიდი გულისყურით ეკიდებიან. რაციონალიზატორულ წინადადებათა რიცხვი განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, რაც ქარხანაში ლითონის დამუშავების ჩქაროსნული მეთოდი დაინერგა.

— დიდი ხანია, რაც ჩქაროსნული მეთოდით მუშაობა დანერგეთ თქვენს ქარხანაში? — ვეკითხები ლევან გოგიჩაძეს, მაღალ, პირხმელ ყმაწვილს, რომელიც საამქროს ერთ-ერთ უბანზე უფროს ოსტატად მუშაობს.

— 1949 წლის მეორე ნახევრიდან.

— ახლა სამუშაო უთუოდ ერთიოორად უფრო სწრაფად სრულდება?

— რატომ ერთიათად არა! — მიპასუხა, — წინათ ბრუნვის სისწრაფე წუთში 40-60 მეტრი იყო, ამჟამად კი ქარხნის ჩქაროსნებმა ბრუნვის სისწრაფე წუთში 500 მეტრამდე აიყვანეს. უფრო ზუსტად გეტყვით,— აქ გოგიჩაძე შეჩერდა და გამოანგარიშებას შეუდგა, — ზოგიერთ სამუშაოს, რომელსაც მუშა წინათ 27 წუთს ანდომებდა, ახლა ექვს წუთში ასრულებს.

ერთ-ერთ დაზგას მივუახლოვდით. საჭრისი საოცარი სისწრაფით ჩარხავს დეტალს. გავარვარებული ნათალი დეტალის გარშემო იგრაგნება, სწყდება და ლურჯ კულულებად იატაკს ეფინება. დაზგასთან ჯმუხი, შავგვრემანი ყმაწვილი დგას. გამოცდილი თვალით აკვირდება სამუშაოს და დროდადრო ჰატარა ონკანიდან გამაციებელ სითხეს უშვებს, რომ ბრუნვის დროს დეტალი ან საჭრისი ძალიან არ გახურდეს.

ეს გახლავთ ჩქაროსანი ხარატი ვარლამ ბაქრაძე. სულ ერთი წელია, რაც ვარლამმა სახელოსნო სასწავლებელი დაამთავრა და ლითონის ჭრის ჩქაროსნულ მეთოდს დაეუფლა. ამას წინათ ქარხანამ იგი მოსკოვში მიავლინა ახალგაზრდა ჩქაროსნების საკავშირო შეკრებაზე. წარუშლელი შთაბეჭდილებები დაბრუნდა ყმაწვილი დიდი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქიდან და გაასჭოთა ქვეყნის

,,ბოლშევიკური ბიჯ-ბიჯობით“

,,ბოლშევიკური ბიჯ-ბიჯობით“

,,ბოლშევიკური ბიჯ-ბიჯობით“

###

სამგლოვიარო მაჯარებელი. რომლითაც მიასვენებენ მარშალ ჩოიბალსანის ცხედარს, ჩავიდა ქალაქ სუხე-ბაჯორს

სუხე-ბატორი, 4 თებერვალი. (საკ.ესი). დღეს დილით სამგლოვიარო მატარებელი, რომლითაც მიასვენებენ მარშალ ჩოიბალსანის ცხედარს, მივიდა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის საზღვარზე და განაგრძო გზა. საზღვარზე მატარებლის შესახვედრად ჩამწკრივებული იყო მონღოლეთის არმიის საპატიო სამხედრო ყარაული.

დილის 10 საათსა და 20 წუთზე სამგლოვიარო მატარებელი მოვიდა მონღოლეთის რკინიგზის პირველ სადგურზე — ქალაქ სუხე-ბატორში. სამგლოვიარო მატარებლის შესახვედრად, რომლითაც მოასვენებენ მონღოლი ხალხის საყვარელი ბელადის მარშალ ჩოიბალსანის ცხედარს, აქ დედაქალაქიდან ჩამოვიდა მონღოლეთის შრომელთა ხალხმრავალი დელეგაცია, აგრეთვე ჩამოვიდნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე სურუნ-ეაბი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი სოსორბარამა და მინისტრები. ვაგზლის პერონზე თავი მოიყარეს ქალაქის ათასობით მშრომელმა, ახლო-მახლო რაიონების მესაქონლეებმა და ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მელოდიას. მატარებელი პერონს უახლოვდება. ვაგზლის შენობაზეა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის დახრილი სახელმწიფო ალმები; ფასადზეა ჩოიბალსანის დიდი პორტრეტი სამგლოვიარო ჩარჩოში.

ვაგზალზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელზეც სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მთავრობის დელეგაციის წევრმა პ. ი. ლეონოვმა. მიტინგის შემდეგ კუბო შეამკეს გვირგვინებით სელენგის აიმაკის მშრომელებისაგან. მატარებელი წავიდა დედაქალაქის მიმართულებით.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეექვსე სესია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე განიხილეს სოციალური საკითხები და ეგრეთწოდებული ლტოლვილთა პრობლემა

პარიზი, 3 თებერვალი. (საკ.ესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომას გუშინ განსახილველად წარუდგინეს მესამე კომიტეტის მიერ სოციალურ საკითხებზე მიღებული რეზოლუციების პროექტები.

როგორც ცნობილია, ამ რეზოლუციებში, რომლებიც კომიტეტს თავს მოახვიეს ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლებმა, არაფერი იყო ნათქვამი კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელი მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, როგორიც არის დაზღვევა უმუშევრობის გამო, ბავშვთა უფასო სწავლება, სამედიცინო დახმარების საკითხები, დაზღვევა ავადმყოფობის, მოხუცებულობისა და ინვალიდობის გამო, ზრუნვა დედისა და ბავშვისათვის და სხვ.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია მესამე კომიტეტში მტკიცედ მოითხოვდა ყველა ამ საკითხის შეტანას ეკონომიური და სოციალური საბჭოს და სოციალურ საკითხთა კომისიის 1952-1953 წლების მუშაობის პროგრამაში. მაგრამ ეს უმნიშვნელოვანესი სამართლიანი მოთხოვნები, რომლებიც სსრ კავშირის დელეგაციამ წამოაყენა და რომლებსაც მხარი დაუჭირეს უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა, კომიტეტის ინგლის-ამერიკის უბრალესობამ არ მიიღო.

იგივე გამეორდა გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე, სადაც სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებანი უარყოფილ იქნა ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენელთა 26 ხმით. ამ წინადადებებს ხმა მისცა 11 დელეგაციამ, მათ შორის სსრ კავშირის, უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, საუდის არაბეთის, სირიის, პაკისტანისა და სხვ. დელეგაციებმა. 13 დელეგაციამ, მათ შორის ავღანეთის, ირანისა და სხვ. დელეგაციებმა, კენჭისყრაში თავი შეიკავეს.

შემდეგ მესამე კომიტეტის მომხსენებელმა პლენარული სხდომის განსახილველად წარადგინა მოხსენება ეგრეთწოდებული „ლტოლვილთათვის დახმარების პრობლემის" შესახებ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა მესამე კომიტეტის განსახილველად შეიტანა რეზოლუციის პროექტი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მთავრობებმა არ შეასრულეს გენერალური ასამბლეის 1946 წლის 12 თებერვლის რეზოლუცია „ადგილგადანაცვლებულ პირთა" სამშობლოში რაც შეიძლება მალე დაბრუნების წახალისებისა და ხელშეწყობის შესახებ.

რეზოლუციის პროექტი მოითხოვდა დაგმობილი ყოფილიყო პოლიტიკა, რომელსაც ლტოლვილების საქმეთა საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებდა და რომელსაც განაგრძობს ეგრეთწოდებული „ლტოლვილთა საერთაშორისო ორგანიზაციის" ხელმძღვანელობა. ამ პოლიტიკის მიზანია რეპატრიაციის შეცვლა ადგილგადანაცვლებულ პირთა სხვა ქვეყნებში ძალადა გადასახლებით. პროექტი აგრეთვე მოითხოვდა დაგმობილი ყოფილიყო, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებთან და საერთაშორისო სამართლის საერთოდ მიღებულ ნორმებთან შეუთავსებელი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი ზოგიერთი სახელმწიფოს, და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების, ცდები — ყოველი ღონისძიებით გადაიბირონ ადგილგადანაცვლებული პირები საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ტერიტორიაზე ძირგამოთხრელი და დივერსიული საქმიანობისათვის. რეზოლუციის პროექტი ურჩევდა ზემოაღნიშნული ქვეყნების მთავრობებს, აგრეთვე იმ ქვეყნების მთავრობებს, რომელთა ტერიტორიაზეც ჯერ კიდევ იმყოფებიან ლტოლვილები და ადგილგადანაცვლებული პირები, მიეღოთ ღონისძიებანი აღნიშნული რეზოლუციის შესასრულებლად, რათა ადგილგადანაცვლებულ პირთა და ლტოლვილთა რეპატრიაცია მათი წარმოშობის ქვეყნებში დამთავრებულიყო 1952 წლის განმავლობაში.

ბელორუსიის სსრ რეზოლუციის პროექტი მესამე კომიტეტში უარყოფილ იქნა ომის ამერიკელ გამჩაღებელთა დიქტატის მორჩილი ხმების უმრავლესობით. ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლებმა ეგრეთწოდებულ „ლტოლვილთა" საკითხზე მესამე კომიტეტის მიღებინეს ისეთი გადაწყვეტილებანი, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან შენარჩუნებულ იქნას ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკების ქსელი, სადაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლტოლვილების საქმეთა უმაღლესი კომისრის წაყრებებით ხდება ჯაშუშებისა და დივერსანტების შეგროვება სსრ კავშირსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში შემოსაგზავნად, და უმაღლეს კომისარს აძლევდა უფლებას სხვადასხვა მთავრობისაგან, დაწესებულების, ორგანიზაციისა და კერძო პირებისაგან მიეღო სახსრები თავისი ამ საქმიანობის დასაფინანსებლად.

სსრ კავშირის დელეგატი პავლოვი გუშინ გამოვიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის პლენარულ სხდომაზე ბელორუსიის რეზოლუციის პროექტის დასაცავად.

პლენარული სხდომის კენჭის საყრელად დასმული ბელორუსიის სსრ რეზოლუციის პროექტი უარყოფილ იქნა 34 დელეგაციის ხმით, რომლებსაც მეთაურობენ ინგლის-ამერიკის ბლოკის წარმომადგენლები. სსრ კავშირის, უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა ხმა მისცეს ამ პროექტს. 15 დელეგაციამ, მათ შორის ავღანეთის, საუდის არაბეთის, სირიისა და სხვ., კენჭისყრაში თავი შეიკავა.

ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციებმა ჩაშალეს გენერალური ასამბლეის მიერ კორეის საკითხის განხილვა

პარიზი, 4 თებერვალი. (საკ.ესის სპეც. კორ.). გუშინ დღისით ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის დელეგაციების კარნახით უკანონოდ მოწვეულ პოლიტიკური და მეორე და მესამე კომიტეტების გაერთიანებულ სხდომაზე გრძელდებოდა მათი რეზოლუციის განხილვა, რომელიც ითვალისწინებს გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე კორეის დამოუკიდებლობის საკითხის განხილვაზე უარისთქმას.

ავსტრალიის, პერუს, ეკვადორის, კანადის დელეგატები, რომლებმაც ეს რეზოლუცია დაიცვეს, აგრეთვე მისი ავტორები — ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგატები მომაბეზრებლად იმეორებდნენ უკვე მბილებულ უსაფუძვლო მტკიცებას, თითქოს გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე კორეის საკითხის განხილვა ხელს შეუშლის დაზავებაზე მოლაპარაკებას, რომელიც კორეაში მიმდინარეობს.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურის მოადგილემ ი. ა. მალიკმა თავის სიტყვაში გამოაშკარავა ნამდვილი მიზეზი იმისა, თუ რატომ არა სურთ და ეშინიათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ამერიკის ბანაკის სხვა ქვეყნების დელეგაციებს განიხილონ კორეის საკითხი. მან ცხადყო, რომ ამით იფარება ამერიკის შეერთებული შტატების მისწრაფება — განაგრძონ ინტერვენცია კორეაში და გააფართოონ აგრესია შორეულ აღმოსავლეთში.

მალიკმა წინადადება შეიტანა, რომ პირველი კომიტეტი დაუყოვნებლივ შეუდგეს დღის წესრიგში მდგომი კორეის საკითხის განხილვას და მიიღოს სათანადო ღონისძიებანი კორეაში დაზავებაზე მოლაპარაკების წარმატებით დამთავრებისათვის ხელის შესაწყობად.

სსრ კავშირის დელეგაციის ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს უკრაინის, ბელორუსიის, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა.

კამათის დასასრულს ი. ა. მალიკმა პასუხი გასცა განსახილველი საკითხის თაობაზე საბჭოთა დელეგაციის განცხადების გამო ამერიკის ბანაკის ქვეყნების წარმომადგენელთა ზოგიერთი შენიშვნაზე.

კამათის დამთავრების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის რეზოლუციის პროექტს, აგრეთვე სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებას კენჭი უყარეს.

ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციამ, გამოიყენა რა მისი მორჩილი მექანიკური უმეტესობა, მოახერხა გაეყვანა თავისი რეზოლუცია და უარეყო სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება. ამით ამერიკელმა აგრესორებმა და მათმა დამჭაშებმა ცხადყვეს, რომ ეშინიათ კორეის საკითხის განხილვისა, ეშინიათ, რომ მთელი მსოფლიოს წინაშე გამოაშკარავდება კორეაში ამერიკის ბანდერვენციის დანაშაულებრივი ხასიათი.

ირანმა წინადადებით მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებს დახმარონ ამერიკის ინფორმაციის სამსახურის ცენტრები ირანის სამ ქალაქში

ლონდონი, 3 თებერვალი. (საკ.ესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამერიკის თეირანის საელჩოს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ირანის პროვინციების სათანადო ხელისუფლებამ ამერიკის შეერთებული შტატების კონსულებს მეშხედში, თებრიზსა და ისპაანში მიმართეს თხოვნით დახმარონ ამერიკის ინფორმაციის სამსახურის (იუსის) ცენტრები ამ ქალაქებში.

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 4 თებერვალი. (საკ.ესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ დღეს გამოაცხადა, რომ სახალხო არმიის შენაერთები ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილებთან მჭიდრო თანამოქმედებით მოწინააღმდეგეს განუწყვეტლივ აყენებენ დარტყმებს და ყველა ფრონტზე განაგრძობენ თავდაცვითს ბრძოლებს.

გუშინ აღმოსავლეთის ფრონტზე სახალხო არმიის შენაერთებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე, რომელმაც ტანკებისა და არტილერიის დახმარებით იერიშები მოიტანა სახალხო არმიის პოზიციებზე. ამ ბრძოლებში მოკლული და დაჭრილია მტრის 270-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი და მოსპობილია მოწინააღმდეგის 3 ტანკი.

დღეს სახალხო არმიის საზენიტო ნაწილებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის 2 თვითმფრინავი იმ თვითმფრინავთაგან, რომლებიც მონაწილეობდნენ დასავლეთ სანაპიროს რაიონებზე თავდასხმებში.

გაზეთი „დე ვაარჰეიდი" ამერიკელთა მიერ კორეაში დაზავებაზე მოლაპარაკების გაჭიანურების ნამდვილი აზრის შესახებ

ჰააგა, 3 თებერვალი. (საკ.ესი). გაზეთმა „დე ვაარჰეიდმა" მოათავსა თავისი ლონდონელი კორესპონდენტის სტატია, რომელშიც მოხელეულია ამერიკელ აგრესორთა მიერ კორეაში დაზავებაზე მოლაპარაკების გაჭიანურების ნამდვილი აზრი. გაზეთი წერს: „ტოკიოდან მიღებულია ცნობა, რომლის თანახმადაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ამას წინათ იაპონიაში ჩასული ჯონ ფოსტერ დალესის მეშვეობით მითითება მისცა გენერალ რიჯუეის, რომ კორეის კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება „ჯერჯერობით სასურველი და მიზანშეწონილი არ არის". ეს ინსტრუქცია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა მოამზადა სამხედრო შტაბების უფროსებთან ტრუმენის მოლაპარაკების შემდეგ. ამ ინსტრუქციაში ნათქვამია: „კორეის კონფლიქტის მოწესრიგება ახლო მომავალში ჯერჯერობით სასურველი არ არის იმ მერყევი პოზიციის გამო, რომელიც უკავიათ დასავლეთ ევროპის ქვეყნებს ევროპაში ამერიკის პოლიტიკის განხორციელების მიმართ". საქმე ის არის, რომ სანამ ამერიკელთა წინადადებანი შეიარაღების პროგრამის დაფინანსებისა და განხორციელების და ეგრეთწოდებული ევროპის არმიის შექმნის შესახებ არ მიუღია ყველა ქვეყანას, მათ შორის ინგლისს, „უმჯობესია ამერიკის სარდლობის წარმომადგენლები კორეაში არ ცდილობდნენ სწრაფი შედეგების მიღწევას ჩრდილოეთკორეელებთან მოლაპარაკებაში".

შემდეგ ცინიკურად არის აღნიშნული: კორეაში ზავის დადება ერთბაშად შეანელებს საერთაშორისო დაძაბულობას, რაც ერთგვარ გავლენას მოახდენს დასავლეთ გერმანიის ხელახალ შეიარაღებასა და დასავლეთ ევროპისა და იაპონიის შეიარაღების პროგრამის შესრულებაზე".

სპომარი მოქმედება ვიეტნამში

შანხაი, 3 თებერვალი. (საკ.ესი). რადიოსადგურ „ვიეტნამის ხმის" ცნობით, სახალხო არმიის ჯარებმა ალყა შემოარტყეს მტრის ჯარების დიდ დაჯგუფებას ქალაქ ხოა-ბინში (60 კილომეტრზე ხანოის სამხრეთ-დასავლეთით).

ცნობაში ნათქვამია: „მოსპობილია მტრის შვიდი გამაგრებული პუნქტი, მათ შორის არტილერიის პოზიცია. შეტევის დროს, რომელიც 7 იანვარს დაიწყო პროვინციის მთავარი ქალაქის ხოა-ბინის წინააღმდეგ, რომელსაც ფრანგები ინარჩუნებენ, სახალხო ჯარებმა მჭიდრო რკალი შემოარტყეს ქალაქს.

7-დან 24 იანვრამდე ამ რაიონში ჩამოგდებულ იქნა მტრის 8 თვითმფრინავი იმათგან, რომლებიც ცდილობდნენ ფრანგთა გარშემორტყმული ჯარებისათვის საჭურველის მიწოდებას.

მტრის ბევრი ჯარისკაცი, რომელიც პატრულს ეწევა ქალაქის ფარგლებს გარეთ, ხოცავს თავის მეთაურებს და ტყვედ ნებდება სახალხო ჯარებს.

7-დან 24 იანვრამდე ხოა-ბინის ფრონტზე ფრანგ აგრესორთა ჯარებმა დაკარგეს 10 ასეული, 8 თვითმფრინავი, 1 ტანკი, 11 ჯავშნიანი მანქანა და სატვირთო მანქანა, 14 საარტილერიო ქვემეხი, 22 ტყვიამფრქვევი, 8 რადიოგადამცემი და ბევრი შაშხანა და სხვა სამხედრო საჭურველი".

ინდოელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის დემონსტრაცია

ტრივანდრამი, 4 თებერვალი. (საკ.ესი). გუშინ საბჭოთა კავშირის კინოხელოვნების მუშაკთა დელეგაცია ჩამოვიდა ტრივანდრამში. (ტრავანკორ-კოჩინის შტატი). საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული სტუმრების შესახვედრად აეროდრომზე შეეკრიბნენ ქალაქის საზოგადოებრივობის ათასობით წარმომადგენლები და ტრავანკორ-კოჩინის მთავრობის წარმომადგენლები. თვითმფრინავთან, რომლითაც საბჭოთა დელეგაცია ჩამოვიდა, მივიდა ახალგაზრდობა, რომელსაც მიჰქონდა ამხანაგ სტალინის დიდი პორტრეტი, მორთული ცოცხალი ყვავილების გირლანდებით. თაიგულები მიართვეს საბჭოთა დელეგაციის მეთაურს ამხ. სემეონოვს, აგრეთვე დელეგაციის ყველა წევრს.

ამას წინათ საბჭოთა კავშირში ნამყოფმა ცნობილმა ინდოელმა მწერალმა, პოეტმა და მსახიობმა ჩატო